პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი შაბათი 17 ნოემბერი № 263 (17608) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კომუნისტური პარტიის პოლიტიკის წარმატებით განხორციელების საფუძველზე მნიშვნელოვნად განვითარდა სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობა. ამ დროს მისი როლი სახალხო მეურნეობის საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფაში, ქალაქისა და სოფლის კავშირის სრულფასა და დამკვიდრებაში. მნიშვნელოვნად განმტკიცდა სამომხმარებლო კოოპერაციის იმუშავებული საფუძვლები. კოოპერაციის წევრთა რაოდენობამ 50 მილიონს გადააჭარბა, კოოპერაციის მათი აქტიურობა კოოპერაციული ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშაობის ხელმძღვანელობისა და კონტროლის განსაზღვრებაში.

ფართოდ განვითარდა საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციის საერთაშორისო საქმიანობა. სამომხმარებლო კოოპერაცია, როგორც სავრცობაშორისო კოოპერაციული ალიანსის წევრია, თანამედროვეულად იღებს ყველა ეროვნულ პროგრესული კოოპერაციების ერთიანობისათვის მებრძოლობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის დასამკვიდრებლად ბრძოლაში.

ამასთანავე სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობის დონე ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების მითითებებს. არსებითი ნაკლოვანებანი მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში. ყოველთვის როდი ემობა ჯეროვანი უურადღება სოფლის მშრომელებისათვის საჭირო საქონლის წარმოებადოდ ბრდის ზრდას, ამ საქონლის ბარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას, ნაკლებად იჩენენ ინიციატივას, რათა საქონელბრუნვაში მოაქციონ ადგილობრივი სასაქონლო რესურსები, გაზარდონ საქონლის გამომუშავება კოოპერაციულ საწარმოებში. სრულად არ იყენებენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მოქალაქეთა პირად მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის გაფართოების, ველური თხილის, კენჭრის, სოკოს, სამკურნალწამლო-ტექნიკური ნედლეულისა და სხვა ადგილობრივ საბუთებთა პროდუქციის დამზადების გადიდების შესაძლებლობებს.

ქვეყნის ბევრ რაიონში, განსაკუთრებით რუსეთის სფსრ რესპუბლიკის არაშავმიწანადაგანი ზონის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და ყაზახეთის რაიონებში, სამომხმარებლო კოოპერაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს; მაღაზიების, სასადილოების, საწყობების, სახაბაზოებისა და დამამზადებელი ორგანიზაციების საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოთავსებულია გამოუსადეგარ შენობებში, სუსტად არის აღჭურვილი სავაჭრო და ტექნოლოგიური მოწყობილობით, მანქანა-მექანიზმებით.

ცენტროსოიუზს და სამომხმარებლო კოოპერაციის ადგილობრივ ორგანიზაციებს სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ კადრებთან მუშაობაში, არ ამორაციელებენ სათანადო ღონისძიებებს, რათა კოოპერატივებისა და მათი საწარმოების ხელმძღვანელთა შემადგენლობა განმტკიცონ ინიციატივიანი, მომზადებული მუშაკებით, არ იჩენენ საჭირო სიმტკიცეს გაფლანგვა-დატაცების, უუყირათობით გამოწვეული დანაკარგების აღმოფხვრაში. არ მცირდება კადრების დენადობა, ნაკლებად იღებენ მართვისა და კონტროლის კოოპერაციულ ორგანოებში ქალებსა და ახალგაზრდებს, ურიგდებიან შინაკოოპერაციული დემოკრატიის დარღვევის შემთხვევებს.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები ბევრგან ჯეროვნად არ სწავლობენ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციის საქმიანობის საკითხებს, არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და სრულყოფაში, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში, დაწესებული კანონმდებლობისა და დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად, მოსახლეობის მომსახურების გასაუმჯობესებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცენტროსოიუზის, რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კოოპკავშირების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ კიდევ უფრო აამაღლონ სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა რგოლის ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი, მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ სოფლად ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია, უფრო სრულად გამოიყენონ შესაძლებლობანი საცალო საქონელბრუნვის მოცულობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის შესყიდვის გასადიდებლად და კოოპერაციულ საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გასაფართოებლად. ამ მიზნით საჭიროა ყოველმხრივ განვამტკიცოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განვავითაროთ სამომხმარებლო კოოპერატივების სამეურნეო ინიციატივა და საზოგადოებრივი აქტიურობა, ავამაღლოთ მათი როლი საკვლევო დავალებათა შესრულებაში, კოოპერაციული სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისა და

(დასასრული მე-2 გვ.)



ქართული მანგანუმის ქალაქს — ჭიათურას 100 წელი შეუსრულდა. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. სამშობლოს მაღალი ჯილდოთი დაგვირგვინდა მანგანუმის მომპოვებელთა და მშენებელთა, სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის საბადოების და საწარმოთა თავდადებული შრომა.

ჭიათურას სახელი მანგანუმმა მოუხვეჭა. მას უნდა უმადლოდეს ქალაქი თავის დაბადებას. ასი წლის წინ მანგანუმის საბადოების დამუშავება დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის ინიციატივით დაიწყო.

სურათებზე: ჭიათურის საერთო ხედი; სოციალისტური შრომის გმირი, მშენებელთა კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გრიგოლ ჯოხონელიძე, გვირაბგამყვანი, ამჟამად პენსიონერი პეტრე გოგატიშვილი და ერთ-ერთი პირველი ჭიათურელი სტახანოველი ტრიფონ ფოფხაძე; დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს გამამდიდრებელი ფაბრიკის. ცვლის უფროსი მაყვალა მაღრაძე და გამოთვლითი ცენტრის ხელმძღვანელი ბადრი კვერნაძე; მეტალურგთა კულტურის სახლის ანსამბლი „ციცინათელას“ წევრი ზოია ჩიხლაძე; ჭიათურის ერთ-ერთი საბაჟერო-საბაგირო გზა.

ფ. მოგრეულოვისა და ა. მაჰაპარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ჭიათურა 100 წლისაა

კვლავაც გამარჯვებით გევლოს, სახელოვანო იუბილარო!

საბჭოთა ნეოგლოგიაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაარსების 80-100 წლისთავთან დაკავშირებით დღეს ქალაქ ჭიათურას შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცემა. ჭიათურელთა სიხარულს მთელი ქართველი ხალხი იზიარებს, ზეიმს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მრავალი საპატიო სტუმარი ესწრება.

გულითადად გილოცავთ სამშობლოს ამ უმაღლეს ჯილდოს, ჭიათურელო მშრომელებო, გისურვებთ შემდგომ წარმატებებს მშობლიური პარტიის მიზანდასახულობათა განხორციელების საქმეში და გედნიერებას პირად ცხოვრებაში!

მეასე წლისთავს ზეიმობს დღეს ქართული მანგანუმის ქალაქი, რომლის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება ჭიათურელ მაღაროელთა თავდადებული შრომის ჭეშმარიტი აღიარებაა.

ჭიათურის სამთამადნო კომბინატის მაღაროთა სამმართველოს შორის უძველესია კალინინის სახელობის მაღარო. მანგანუმის მოპოვება-დამუშავებას აქ სწორედ რომ ასი წლის ისტორია აქვს. აკაკი წერეთელმა საქვეყნო საქმისათვის მადნის მოპოვებას სწორედ აქ— კვიცხნარში ჩაუყარა საფუძველი.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დღეს მანგანუმის მომპოვებელთა სამსახურშია მძლავრი სამპფული ტექნიკა, საიმედოდ გამაგრებული გვირაბები, ღია კარიერები, მთლიანად ავტომატიზებული და მექანიზებული გამამდიდრებელი ფაბრიკები.

და რაც მთავარია, საქვეყნო საქმეს პატრიოტული შემართებით ემსახურებიან ადგილობრივი სოფლების მკვიდრნი.

დიახ, უკვე მესამე თაობა ვაჟკაცურად შრომობს მთების გულში და მისი ცხოვრების შინაარსი მამა-პაპათა მიერ გაკვალულ გზაზე საბჭოთა საქართველოს დღევანდელი სინამდვილით არის გაცისკროვნებული.

კალინინელი მაღაროელები მუდამ ახლისა და პროგრესულის ძიებაში არიან, ეხმაურებიან ყველა იმ პატრიოტულ თაოსნობას, რესპუბლიკის სხვა საწარმოებში რომ იბადება.

როდესაც რესპუბლიკაში დაიწყო მძლავრი მოძრაობა შიდასაწარმოო რეზერვების გამოსავლენად, კალინინის სახელობის მაღაროს სპეციალისტების, გამამდიდრებლების საზრუნავი გახდა შუალედური ნედლეულის სასაქონლო პროდუქციის კონდიციის უზრუნველყოფა. ცდამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. სათანადო ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის შედეგად შუალედური ნედლეული ახლა ისე მდიდრდება, რომ შეიძლება პირდაპირ მომზმპარებლისათვის მიწოდება.

ამ სიახლეს არც ზედმეტი მუშახელი სჭირდება და არც დამატებითი კაპიტალური დაბანდება — მიღებულია დიდი ეკონომიკური ეფექტი. თუ ჯერ კიდევ შარშან პროდუქციის გამაშვების გეგმა 70 ათას ტონას შეადგენდა, წელს იგი 132 ათას ტონამდე გადიდდა.

სასახელო შედეგებით დაამთავრეს ხუთწლედის მეოთხე წლის ათი თვე კალინინელმა მაღაროელებმა. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა მათ 107 პროცენტით შეასრულეს. შრომის ნაყოფიერება 5,5 პროცენტით გაიზარდა.

მაღაროელები მომეჭირნეობით ეკიდებიან ელექტროენერგიას, ფეთქებად, სამაგრ და სხვა დამხმარე მასალებს, რის შედეგადაც წლეულს პროდუქციის თვითღირებულება 50 ათას მანეთამდე შემცირდა.

კალინინელთა უპირველესი და მუდმივი საზრუნავია გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება. ამასთან, ამ დღეებში, წინასწარი გაანგარიშებით, გამოირკვა, რომ მთა სამი თვით ადრე, 1980 წლის პირველი ოქტომბრისათვის შეუძლიათ შეასრულონ ხუთწლედი. რამდენად შემცირდება ეს დრო, ამას კალინინელთა ხვალინდელი შრომითი აღმავლობა განსაზღვრავს.

და მაინც ჭიათურის მთავარი საუნჯე — ეს ჩვენი თანამედროვე ადამიანები, ქალაქის ბატონ-პატრონნი არიან. მათ რიგებში კალინინის სახელობის მაღაროს მრავალი სახელოვანი წარმომადგენელია. აი, რამდენიმე მათგანი:

1948 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი წალენჯიხელი მშრომელის შვილმა სერაფიონ კვარაცხელიამ. 1949 წლიდან იგი ჭიათურის მანგანუმის წარმოებაშია და რიგითი ხელმძღვანელიდან საპასუხისმგებლო პოსტამდე—მაღაროთა სამმართველოს დირექტორამდე გზა სახელიანად გაიარა; უკვე მეცხრამეტე წელია იგი კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივს თავკაცობს.

ჩვეულებრივი შრომითი საქმიანობით დაიწყო შინაარსიანი ცხოვრების გზა იაშა სიკინჭალაშვილმა. იგი მაღაროში ზეინკლად მოვიდა, შემდეგ ცვლა ჩაამბარეს, მალე საჭიერო-საბაგირო გზის უფროსად დაწინაურეს. ამჟამად საჭიერო-საბაგირო გზების მუშაობას განგებს. ასეთები მაღაროში მრავლად არიან.

შარშან საკავშირო ტელევიზიის საახალწლო პროგრამაში რომ ექვსი ქართველი ძმა მონაწილეობდა საქართველოს მუშათა კლასის სახელით, ისინიც აქაურები არიან: გიორგი, ბეჟიკო, ბიძინა, ოთარ, ომარ, ვაჟა გაფრინდაშვილები. ივლიანე გაფრინდაშვილის შვილებმა მამისაგან ისწავლეს შრომის ყადრი, ხოლო მათი პაპა, არსენი ჭიათურელ მადნის მომპოვებელთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია.

აი, კიდევ ერთი მუშური დინასტია:

საქვეყნოდ ცნობილი სტახანოველი პლატონ ბოყოველი, მისი ვაჟები — შაგო—ცვლის უფროსი, ვლადიმერი — პირველი უბნის გამგე, გრიგოლი — ექსკავატორის მემანქანე, სერგო — მაღაროს ზეინკალი.

კომუნისტური შრომის სიკეთე კალინინის სახელობის მაღაროს მაგალითით ნათლად ჩანს. მუყაითი გარჯას შეძლებული ცხოვრება მოსდევს. ახლა კომპლექსური ბრიგადის წევრთა, გვირაბგამყვანთა, მეექსკავატორეთა საშუალო თვიური გამომუშავება 400-450 მანეთს შეადგენს. 25 წელია მაღაროში მუშაობს მეორე საწარმოო უბნის გამგე გიორგი ჭუმბურიძე. ხშირია თვეები, როცა მისი გამომუშავება 600 მანეთს აღწევს.

ახლა ჭიათურაში საიუბილეო-საზეიმო დღეებია.

დიახ, გამარჯვებული ქალაქის საუკუნოვანი იუბილე შრომის ჭეშმარიტი ზეიმია!

გ. ფეყილაძე.

ჭიათურა დღესასწაულის წინ

ჭიათურა სადღესასწაულოდაა მორთული. ქალაქი აღნიშნავს თავის 100 წლისთავს. 16 ნოემბერს აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, რათა მშრომელებს გადასცეს შრომის წითელი დროშის ორდენი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის და ქალაქის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ამხანაგი შევარდნაძე შეხვდა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრებს, საწარმოების, მშენებლობებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, ეწვია დიმიტროვის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოებს, სამთამადნო კომბინატ „ჭიათურმანგანუმის“ გამამდიდრებელ ფაბრიკებს, მაღაროელთა სანატორიუმ-პროფილაქტორიუმს, სხვა ობიექტებს, ესაუბრა მუშებს, გამოკითხა მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მარგველაშვილმა, შეხვედრის მონაწილეებმა ილაპარაკეს, თუ როგორ ახრულებენ ქალაქის მშრომელები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, 1979 წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმებს.

ამხანაგმა შევარდნაძემ ხაზი გაუსვა, რომ ახლა ქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა მშრომელის მეცადინეობა უნდა მოხმარდეს ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარებას, ყველა უბანზე წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, არსებული რეზერვების სრულად გამოყენებას, უსურვა სახელგანოქმელ ქართველ მაღაროელებს ახალი დიდი წარმატებანი მთელ მათს საქმეებში.

ამხანაგ შევარდნაძესთან ერთად იყვნენ პ. გ. გილაშვილი, ხ. ე. ხაბეიშვილი.

(საქინფორმი).

ვიხსოვროთ და ვიმუშაოთ ლენინურად

მოსკოვში გაიმართა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის მუშაობას ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

მოხსენება გააკეთა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ნ. პასტუხოვმა.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კომკავშირი ყოველ ღონეს იხმარს იმ ამოცანებმა, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკური -აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, ყველაზე იქნება პარტიის მებრძოლი თანამშრომელ ახალგაზრდობისათვის მარქსისტულ- ლენინური მსოფლმხედველობის, მაღალი ზნეობის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებაში.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა. (საკდესი).

„მუშათა ესკაფეკას“ — ფართო გზა!

ეკონომიკური მშენებლობის ობიექტების ექსპლუატაციისა და სოციალისტური შეჯიბრების 1979 წლის 9 თვის შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად 1979 წლის ცხრა თვის შედეგების მიხედვით ცნეს:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით:
№ 3, 7, 14, „საშენმასალის“, № 1 მექანიზაციის ტრესტები, ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატი;
საქართველოს სსრ სახოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით:
№ 4 ტრესტი და გაერთიანება „საქკოლმშენი“;
საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით:
თბილისის კერამიკის კომბინატი, ქუთაისის ქვის დამამუშავებელი ქარხანა, თბილისის საშენ მასალათა კომბინატი;
საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ხაზით:
№ 1 და 2 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო ტრესტები;
„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ მთავარი სამმართველოს ხაზით:
„მონტაჟთერმნაწარმის“ სამმართველო;
„საქმიდროენერგომშენის“ ტრესტის ხაზით:
ენგურჰესის მშენებლობის სამმართველო, ჟინვალჰესის სამშენებლო სამმართველო;
ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტი;
კავკასიის „ელექტროკხელმშენის“ ტრესტი;
„თბილისგვირაბმშენის“ სამმართველო;
საქართველოს სსრ სახმშენის ხაზით:
საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი; სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქარხანა „საქსოფლმანქანა“.

აღინიშნა, რომ დამაკმაყოფილებლად არ მუშაობდნენ ობიექტების ამოქმედების გეგმის შესრულებისათვის:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით — № 2, 4, 5, 6, 10 ტრესტები, ბზიფის ექსპერიმენტული სახლთსაშენებელი კომბინატი, ლილოს № 1 სახლთსაშენებელი კომბინატი,
საქართველოს სსრ სახოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით — № 1, 2, 3, 5, 6 და 7 ტრესტები; **საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით** — საწარმოები, რომლებმაც ვერ შეასრულეს პროდუქციის გამოშვების გეგმა: ჯამეთის საშენ მასალათა კომბინატი, ავაზალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანა, გურჯაანის აგურის ქარხანა, ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შროშა“, მეტეხის საშენ მასალათა კომბინატი, საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხანა, სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატი და საწარმო „საქტეშენიტი“.

გამარჯვებულებს წაახალისებენ.

(საქინფორმი).

ᲐᲛᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲘᲡ ᲐᲚᲐᲚᲘ ᲒᲐᲠᲯᲘ

გარაქალა შენს მარჯვენას!

ᲔᲡ წერილი სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ ადამიანზე გიგა ბაქრაძეზე მოგითხრობთ. ძუნწად გვიყვება საკუთარ ბიოგრაფიას. 1928 წელს სოფელ პერევში, საჩხერის რაიონში დაბადებულა. ვეიდწლედი რომ დაუმთავრებია, კოლმეურნეობაში დაუწყია მუშაობა. მერე ჭიათურის საფაბრიკოსაქარხნო სასწავლებელი დაუმთავრებია და 1948 წლიდან ჯერ მბურღავის თანაშემწე და მერე მბურღავი გამხდარა. შემდეგ ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოში გადამიყვანეს გვირაბგამყვანად და ახლაც ამ თანამდებობაზე ვმუშაობო, — დასძინა მან, და განაგრძო:

— ჩვენი მაღაროთსამმართველო ერთ-ერთი მოწინავე და მძლავრია თავისი ტექნიკური აღჭურვილობით.

მეცხრე ხუთწლედის დავალება 1973 წლის ივნისში გავანაღდე, ხოლო მეათე ხუთწლედისა — 1975 წლის 6 ნოემბრს. ახლა მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში ვმუშაობ. ჩემი მიზანია მეთერთმეტე ხუთწლედშიც ორი ხუთწლიანი პირადი გეგმა შევასრულო. ჩემთან ერთად გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს გვირაბგამყვანებმა ძმებმა შალვა და რეზო ბუხალაძეებმა, გიორგი და დიმიტრი ჩხეტუნიძეებმა, იური და ვლადიმერ ბირჭიკაძეებმა, თამაზ და ზაურ დარბაიძეებმა და თავისაც არ იერცხვენენ.

ასე ძუნწად მიამბო გიგა ბაქრაძემ თავისი ბიოგრაფია. არც ის უთქვამს, რომ იგი თავდადებული შრომისათვის სამშობლომ ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა, არც ის, რომ საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრმა მას აუტომანქანა „ეიგული“ აჩუქა. გიგა ბაქრაძე არჩეული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატად. ამჟამად იგი პენსიონერია, მაგრამ მაღაროს მაინც არ მიუტოვებია. უფრო მეტიც — ორი დღის ნორმას ერთ დღეში ასრულებს და ქართველი გლეხკაცისათვის თანდაყოლილ ჩვევასაც არ ღალატობს — მიწასაც ამუშავებს.

ს. დემურხანაშვილი.

ᲐᲚᲛᲝᲕᲤᲮᲕᲠᲐᲗ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐᲜᲘ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ გაიმართა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის მუშაობას ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

მოხსენება გააკეთა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ნ. პასტუხოვმა.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კომკავშირი ყოველ ღონეს იხმარს იმ ამოცანებმა, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკური -აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, ყველაზე იქნება პარტიის მებრძოლი თანამშრომელ ახალგაზრდობისათვის მარქსისტულ- ლენინური მსოფლმხედველობის, მაღალი ზნეობის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებაში.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა. (საკდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

გამრავლებისათვის ბრძოლაში, უზრუნველყოთ კოოპერატივის წევრთა და კოოპერაციის მუშაკთა ფართო მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში საწესდებო ამოცანების შესაბამისად.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ ქმედითი დახმარება გაუწიონ კოოპერაციულ ორგანიზაციებს მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მეურნეობრიობის შემდგომ გაუმჯობესებას და სამომხმარებლო კოოპერაციის ინიციატივის გაფართოებას სავაჭრო, დამამზადებელი და საწარმოო საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში, შრომითი კოლექტივების ფართოდ ჩაბმას მაღალი შრომითი მაჩვენებლებისათვის, სოფლის მშრომელთა მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის გაჯაგბერულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ყურადღება არ მოაკლონ კოოპერაციული ორგანოების განმტკიცებას მომზადებული, საქმის კარგად მცოდნე მუშაკებით, ნიადაგ იზრუნონ შინაკოოპერაციული დემოკრატიის განვითარებისათვის.

დადგენილება იწონებს სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის განვითარების 1981-1985 წლების ღონისძიებებს, რომლებიც ცენტროსოიუზის გამგეობამ შეიმუშავა იმ მიზნით, რომ:

კიდევ უფრო განმტკიცდეს ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადება და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, აგრეთვე განზორციელდეს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა; მოხმარდეს ამ მიზნებს 1981-1985 წლებში კაპიტალური დაბანდება 5 მილიარდ 350 მილიონი მანეთის მოცულობით; დაწესდეს მაღაზიების, საზოგადოებრივი კვების საწარმოების და სახაბაზოების, საერთოსასაქონლო საწყობების, მაცივრების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცავების მშენებლობისა და ამოქმედების დავალებანი.

გაუმჯობესდეს მოსახლეობასა და კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დათქმულ ფასად შესყიდვის ორგანიზაცია, გაიზარდოს მათი შესყიდვა, უფრო ფართოდ განვითარდეს და გაუმჯობესდეს ამ პროდუქტების ვაჭრობა ქალაქებსა და მუშათა დასახლებებში;

გაიზარდოს სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებში კონსერვის, ძეხვეულისა და საკონდიტრო ნაწარმის, უალკოჰოლო სასმელების, ლუდის, აგრეთვე სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის, კერძოდ, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების, სამეფენელი ნაწარმის, სათამაშოების, ხის ნაკეთობებისა და სხვა იმ საქონლის გამოშვება, რომელზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი;

უფრო სრულად გამოიყენონ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა და საწარმოთა შესაძლებლობანი საკვების ნარჩენებით პირუტყვის სუქების, ბოკვრისა და ფრინველის მოშენების გზით ხორცის წარმოების გადიდებისათვის;

კიდევ უფრო გაიზარდოს პროდუქციის გამოშვება სამომხმარებლო კოოპერაციის სახაბაზოებში, რათა უახლოეს წლებში გადაწყდეს სამრეწველო ეხობის პურ-ფუნთუშეულით სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების ამოცანა;

გაიზარდოს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიერ საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატების, კულინარიული, საკონდიტრო ნაწარმისა და ერბოზელილი ფუნთუშეულის, უალკოჰოლო სასმელების დამზადება და გაყიდვა;

ფართოდ განვითარდეს საამანათო ვაჭრობა როგორც კოოპერაციული მაღაზიების, ისე ცალკეული მოქალაქეების შეკვეთების მიხედვით, ამ მიზნით აშენდეს თანამედროვე მაღალმექანიზებული გასაგზავნი ბაზები ქვეყნის სხვადასხვა ზონაში;

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება, დაიხვეწოს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საგნების, სპბაგშვო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია. აღნიშნული საქონელი გაიყიდოს ძირითადად უნივერმაღაზიებსა და სპეციალიზებულ მაღაზიებში; განზორციელდეს მკირე და დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში ვაჭრობის, აგრეთვე იმ სოფლის მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც დასაქმებული არიან მინდვრის სამუშაოებზე, მეცხოველეობის ფერმებსა და სამომთაბარო საძოვრებზე; გაფართოვდეს სოფლად წიგნის ვაჭრობა;

განზორციელდეს სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოთა მუშაობის კომპლექსური რაციონალიზაციის ფართოდ დანერგვის ღონისძიებანი სავაჭრო, სასაწყობო და საწარმოო ფართობების რეკონსტრუქციისა და უფრო ეფექტიანი გამოყენების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, მომსახურების პროგრესული, მოსახლეობისათვის მოსახერხებელი ფორმების დანერგვის გზით;

გაფართოვდეს სამომხმარებლო კოოპერაციის სასწავლო დაწესებულებათა ქსელი და გაუმჯობესდეს მათი მუშაობა, განსაკუთრებით ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში, დაიხვეწოს სასწავლო პროცესი და ამაღლდეს სტუდენტებისა და მოსწავლეთა სწავლების ხარისხი, მომზადდეს 1981-1985 წლებში 40,3 ათასი უმაღლესი და 260 ათასი საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი და 855 ათასი მასობრივი პროფესიის მუშაკი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ცენტროსოიუზს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაეკვალათ განახორციელონ ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სოფლო-სამეურნეო საწარმოებში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის გაფართოებისათვის, რათა 1985 წლისათვის საბჭოთა მეურნეობებს ყოველ ცენტრალურ კარმიდამოში იყოს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღაზიები და სასადილოები. კოლმეურნეობებს რჩება მიეცათ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს დაეხმარონ მათი სახსრების ხარჯზე მაღაზიების, სასადილოებისა და სახაბაზოების მშენებლობის სამუშაოთა შესრულებაში.

დადგენილება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს ავალებს:

გაითვალისწინონ წლიური გეგმების პროექტით, რომ სამომხმარებლო კოოპერაციისათვის შესრულდეს საჭირო მოცულობის სამუშაოები საბითუმო ბაზების, სავაჭრო ცენტრების, უნივერმაღაღების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცავების, პურის ქარხნებისა და სხვა დიდი საწარმოების მშენებლობისათვის.

გამოუყონ ცენტროსოიუზსა და მოკავშირე რესპუბლიკების კოოსაკავშირებს მასალები, მოწყობილობა, სამშენებლო, საგზაო მანქანები და მექანიზმები, რაც საჭიროა სამომხმარებლო კოოპერაციის სამშენებლო ორგანიზაციათა ძალებით განსახორციელებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დადგენილი გეგმებისა და ცენტროსოიუზის საწარმოებში სპეციალიზებული ავტოტრანსპორტის, ლითონის სტელაჟების, ტარა-მოწყობილობისა და სავაჭრო საწარმოებისათვის განკუთვნილი ავეჯის წარმოების გეგმების შესრულების უზრუნველყოფისათვის.

უზრუნველყონ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები საჭირო რაოდენობის საამწყვეთ-სატრანსპორტო, სამაცივრო, სავაჭრო, ტექნოლოგიური და სხვა მოწყობილობით, გამომთვლელი ტექნიკით, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის ტარა-კონტეინერებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ამ საქონლის, აგრეთვე ბაღ-ბოსტნის ინვენტარისა და სამეურნეო დანიშნულების სხვა ნაწარმის საბაზრო ფონდების განაწილების დროს გაითვალისწინონ, რომ საჭიროა სოფლის მოსახლეობის მთთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება ამ ნაწარმზე.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიეცათ მითითება სამომხმარებლო კავშირებს გამოუყონ სტვრთო, სპეციალიზებული და მსუბუქი ავტომობილები, ავტობუსები, ავტომისაბმელები, ტრაქტორები და ტრაქტორის მისაბმელები, რათა უზრუნველყონ ტვრთზიდვა სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის დადგენილი საქონლისრუნვისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების მოცულობის შესაბამისად.

დადგენილებით გაფართოებულია ცენტროსოიუზის უფლებები სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში.

სსრ კავშირის სახბანკს ნება მიეცა სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებსა და საწარმოებს მისცეს გრძელვადიანი კრედიტები 10 წლამდე ვადით სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოების, სასუქებელი და დამხმარე მეურნეობების ასაშენებლად და გასაფართოებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და ცენტროსოიუზს დაეკალათ ნაყოფიერი შრომისა და სწავლის საჭირო პირობები შეუქმნან ახალგაზრდა მუშაკებს, დღენიადაგ იზრუნონ ქალიშვილებისა და ქალბატონების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მათი ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების გაუმჯობესებისათვის.

ცენტროსოიუზი და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი ვალდებული არიან მეტი ინიციატივა გამოიჩინონ კოოპერაციულ ორგანიზაციათა და საწარმოთა შრომითს კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრების გაფართოებისათვის, წარმართონ მათი მეცადინეობა დადგენილი საგეგმო დავალებების შესრულების, მოსახლეობის მომსახურების ხელმძღვანელობისათვის.

ცენტროსოიუზს წინადადება მიეცეს:

განაგრძოს მუშაობა სამომხმარებლო კოოპერაციის, განსაკუთრებით მისი ძირეული რგოლის — სამომხმარებლო კოოპერატივების ორგანიზაციული აგების, აგრეთვე კოოპერაციული მეურნეობის მართვის მექანიზმის შემდგომი სრულყოფისათვის, მეტი ყურადღება დაუთმოს სამომხმარებლო კოოპერატივებისა და კავშირების წესდებისა და კოოპერაციული დემოკრატიის პრინციპების დაცვას. აამაღლოს სამომხმარებლო კოოპერაციის კონტროლის ორგანოების როლი, ყოველნაირად განავითაროს კრიტიკა და თვითკრიტიკა ყველა მის რგოლში, სრულყოს სამომხმარებლო კოოპერატივებისა და კავშირების აპარატის მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები;

განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი კოოპერატივის წევრთა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის დონის ამაღლებისათვის, უფრო ფართოდ მოაწყოს მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებანი, სპორტაციადები, გააძლიერონ ფეროვნოს კოოპერაციული კლუბების, ბიბლიოთეკების, წითელი კუთხეების მუშაობის ფორმები;

აქტიურად განავითაროს ყოველმხრივი თანამშრომლობა სოციალისტური ქვეყნების კოოპერაციულ ორგანიზაციებთან, აგრეთვე საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა განვითარებადი და კაპიტალისტური ქვეყნების კოოპერატივებთან, ამასთან ხელი შეუწყოს საერთაშორისო კოოპერაციული მოძრაობის რიგების ერთიანობის განმტკიცებას; მიაღწიოს სამომხმარებლო კოოპერაციის საგარეო-სავაჭრო საქმიანობის შემდგომ განვითარებასა და ეფექტიანობის ამაღლებას.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაეკალთ განახორციელონ ღონისძიებანი სამომხმარებლო კოოპერაციის შრომითს კოლექტივებში პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებისათვის, რათა დარაზმონ ისინი საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, გააძლიერონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ ამ კოლექტივების ხელმძღვანელობა, აამაღლონ მათი როლი ნაკლოვანებებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, მუშაკებისათვის კომუნისტური შეგნების, დაკისრებული საქმის გამო პასუხისმგებლობის გრძნობის, მაღალი მორალური თვისებების ჩამოყალიბებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები ახალ დიდ წარმატებებს მიაღწევენ თავიანთი საქმიანობის განვითარებასა და გაუმჯობესებაში, გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უფრო სრულად და უკეთ დააკმაყოფილონ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილება საქონელსა და მომსახურებაზე.

საქმემ გამოაჩინა

ნ უალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის უნივერსალური მაღაზია ერთ-ერთი მოწინავე სავაჭრო დაწესებულებაა ცეკავშირის სისტემაში. მაღაზიის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ათი თვის დავალება — რეალიზებულია 20 ათასი მანეთის ზეგეგმიური პროდუქცია.

ამჟამად მაღაზია 1979 წლის დეკემბრის ანგარიშში მუშაობს. აქ შრომობენ და მომხმარებელს კეთილსინდისიერად ემსახურებიან ციცინო ახალბედაშვილი და დარეჯან ლექვთაძე.

სურათზე: სოფელ გვიშტიბის უნივერსალური მაღაზიის მუშაკი დარეჯან ლექვთაძე.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კოოპერაციის სამოქმედო პროგრამა

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის X ყრილობამ მუშაობა დასრულა

საბჭოთა ადამიანები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ“. მოსახლეობის მომსახურების სრულყოფის მოქმედების ვრცელ პროგრამად აღიქვეს იგი კოოპერატორებმა. ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის დებულებანი მათ სახელმძღვანელოდ მიიღეს და საფუძვლად დაუდეს სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმენებულთა X ყრილობის დადგენილებას, ყრილობისა, რომელიც 15 ნოემბერს დამთავრდა მოსკოვის კრემლის დიდ სასახლეში.

დროის გაზრდილი მოთხოვნებისა და კოოპერატორთა წინაშე დასახული დიდი ამოცანების გათვალისწინებით დელეგატებმა შეაჯამეს გაკეთებულის შედეგები. დასახეს თვისებრივად ახალი მიჯნების მიღწევის გზები. მთავარი ყურადღება დაეთმო მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, რეზერვების გამოყენებას, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

ამოცანა ის არის, რომ შეექმნათ მოსახლეობის მომსახურების კარგად ორგანიზებული სისტემა, რომელიც საკუთარი გაითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებს, ადამიანთა ცხოვრების, ყოფის ხასიათსა და პირობებს. გათვალისწინებულია, კერძოდ, უფრო ფართოდ განვავითაროთ სავაჭრო ქსელი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ ყოველდღიური მოთხოვნის საქონლით მოსახლეობის შეუფერხებელ მომარაგებას, აგრეთვე მოწათმოქმედთა და მეცხოველეთა მომსახურებას უშუალოდ ბრიგადებში, საველე ბანაკებში, ფერმებსა და საძოვრებზე. განსაზღვრულია სოფლად საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებანი. ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა ძირფესვიანად გაუმჯობესდეს დამამზადებელთა საქმიანობა, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს სურსათისა და ფართო მოხმარების სხვა საქონლის წარმოება, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის შესყიდვა, სამკურნალო-ტექნიკური მცენარეების, ველური ხილის, კენრისა და სოკოს დამზადება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად ყრილობამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია კოოპერაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, უწინარეს ყოვლისა რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიან ზონაში ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და ყაზახეთის რაიონებში.

ყრილობამ ერთსულოვნად დამტკიცა ცენტროსოიუზის ახალი წესდება და სამომხმარებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება.

ყრილობამ მიიღო მრავალი მასალამება საზღვარგარეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან, მას მიესალმნენ მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციათა წარმომადგენლები.

დელეგატებმა აირჩიეს ცენტროსოიუზის საბჭო, გამგეობა და სარევიზიო კომისია. ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ა. ა. სმირნოვი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ვ. ა. გუდინი.

ყრილობამ მიიღო წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. (საკვლესი).

გაზეთების ფურცლებზე

მეგბალე

იგი ისე ნელა, ისე აუჩქარებლად დაადგებოდა სოფლის შარაზე, თითქოს უფრთხის, მიწას თავისი ნაბიჯებით ტკივილი არ მიაყენოს. უფრო სიფრთხილით მიმოდის ოგი ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის ხეხილის ბაღებში.

სიყვარულით ავლებს ხელს ვაშლისა და მსხლის ტოტებზე ნაყოფს. ბალსაც ხომ ბავშვივით სჭირდება მოვლა, მზრუნველობა და სითბო. ბაბა შამუგიას მართლაც დალოცვილი ხელი აქვს, ყველაფერს აყვავებს, ახარებს, ხვავითა და ბარაქით ავსებს.

მეხილეთა წარმატებაში დიდი ბასა შამუგიას წვლილიც. ოგი მთელი წლის განმავლობაში დილიდან საღამომდე ტრიალებდა ხეხილის ბაღებში, გულმოდგინედ მოუარა და ბარაქიანი შემოდგომაც ჰქონდა. ხილის დამზადების გეგმას მნიშვნელოვნად გადააჭარბა.

მოხუც მებაღეს განსაკუთრებით უყვარს შემოდგომა. როცა ხეხილის კრეფას იწყებს ბასა, ისე მოხერხებულად აღის და ჩამოდის ხიდან, თითქოს 70 წლის მოხუცი კი არა, 16 წლის ჯეელი იყოს.

„კომუნისტური შრომა“
(სოხუმი).

ოლიგარქიული ფანტაზიები

ახალციხე (სკკ. კორ. შ. მაისურაძე). რაიონის იდეოლოგიური დარგის მუშაკებმა ფართოდ გაშალეს ბრძოლა მავნე წეს-ჩვეულებების აღმოფხვრისა და ახალი სოციალისტური ტრადიციების დამკვიდრებისათვის. ამ საქმეში მათ დიდად უხმარებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „მავნე ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, მისი განხორციელებისათვის შემუშავებული აქვთ ვრცელი სამუშაო გეგმა, რომელიც მრავალ საინტერესო მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებას ითვალისწინებს.

ერთი ამ ღონისძიებათაგანი იყო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა მოაწყო პარტიის ახალციხის რაიკომთან ერთად თემაზე — „ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, თანამედროვეობა“.

კონფერენციაზე მოისმინეს მოხსენებები: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებანი მავნე წეს-ჩვეულებების დაძლევის მიმართულებით“, „ტრადიცია და რელიგია“, „ყოფა და ტრადიციები“, „ვებრძოლოთ დრომოჭმულს, დავნერგოთ ახალი“.

მოხსენებები წაიკითხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

ეგრძვიან მავნე წეს-ჩვეულებებს

ლიც მრავალ საინტერესო მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებას ითვალისწინებს.

ერთი ამ ღონისძიებათაგანი იყო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა მოაწყო პარტიის ახალციხის რაიკომთან ერთად თემაზე — „ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, თანამედროვეობა“.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

ლენინგორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო რაიონის საბჭოთა მეურნეობაში წლიური ანგარიშების დაგვიანებით შედგენასა და სხვა საკითხებს ეხებოდა „კომუნისტის“ ფურცლებზე დაბეჭდილი კრიტიკული წერილი „როცა ნაშრომ-ნაღვაწს მიზნობრივად ვაჯამებთ“.

რედაქციამ მიიღო სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის გ. გიგაურის პასუხი:

ლენინგორის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა ალნაშენული საკითხი. საფინანსო დისციპლინის დაბალი დონისათვის, აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობისათვის ზაყორის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ბუღალტერს ს. გულუხოვს გამოეცხადა საყვედური, ხოლო ლენინგორის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ბუღალტერი დ. სუხაშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

„ტრაქტორი“ ბუნებრივ აირზე

ბორჯომი (ჩვენ. ინ.). ბორჯომის ავტომობილთა ქარხანაში ბუნებრივ აირზე ტრაქტორ „ტ-40“-ის ექსპერიმენტული ნიმუშის დამზადებას ამთავრებენ. ეს ტრაქტორი ბენზინზე ორჯერ ნაკლებ ფასობს, ოთხჯერ ნაკლებ ზეთს ხარჯავს, ექვსჯერ ნაკლებ ტოქსიკურ ნივთიერებას ანაფრქვევს ატმოსფეროში.

სოციალისტური წარმოების მართვის ახალი ეტაპი

თეორიის საკითხები

დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმების მოქმედების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

დაგეგმვა სოციალისტური ეკონომიკის მართვის ძირითადი რგოლია. სახალხო მეურნეობის მასშტაბების ზრდასთან და ეკონომიკური პროცესების გართულებასთან ერთად იზრდება დაგეგმვის მნიშვნელობაც, რადგან დაგეგმვის დონე ადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის შესაძლებლობის გამოყენებაზე. სოციალისტური ეკონომიკის შესაძლებლობები ამოუწურავია, მაგრამ მნიშვნელოვანია არა შესაძლებლობები, არამედ მისი გამოყენების შედეგები. სწორედ ამ შედეგებით გამოიხატება დაგეგმვის ეფექტიანობა.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სისტემა მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს ეფექტიანად, როცა მისი და საწარმოო ძალების განვითარების დონეები ერთმანეთს შეესაბამება. „დაგეგმვის სრულყოფისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება გულისხმობს აამაღლოს დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმების მოქმედების დონე და შეუსაბამოს იგი თანამედროვე ეტაპის — განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნებს. ეს შესაბამისობა მაშინ არის დაცული, როცა დაგეგმვა ეფექტიანად იყენებს ეკონომიკურ მექანიზმებს, ე. ი. სწორად არეგულირებს რესურსებს, არსებული რესურსებით უზრუნველყოფს მაქსიმალური შედეგების მიღებას.

საწარმოო ძალების განვითარებამ წამოჭრა ახალი ეკონომიკური პრობლემები, რომელთა დროულად გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული სოციალისტური წარმოების შემდგომი განვითარება. ამ პრობლემათა შორის უმნიშვნელოვანესია წარმოების შედეგების სწორი კრიტერიუმის გამონახვა სოციალისტური ეკონომიკის ყველა დონეზე.

თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებაა არსებული ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოყენება, ეკონომიკის ზრდის ექსტენსიური შესაძლებლობის შეზღუდვა. შეზღუდული რესურსების პირობებში ეკონომიკის ზრდის ტემპი განისაზღვრება არა რესურსების გადამუშავების საერთო მოცულობით (საერთო და შუალედური პროდუქციის სიდიდით), არამედ ამ რესურსების გადამუშავების საბოლოო შედეგით, ე. ი. იმით, თუ რა მოცულობის საზოგადოებრივი სახმარი ღირებულება მიიღება არსებული რესურსების გამოყენების შედეგად.

დაგეგმვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი წარმოების ყველა რგოლისთვის მისი საქმიანობის საბოლოო შედეგების შესაბამისი მაჩვენებლების დადგენა, მისი სამეურნეო შედეგების შეფასება ფაქტიურად შექმნილი საზოგადოებრივი სახმარი ღირებულებით.

ნედლეულის, რესურსების პრობლემა თანდათან რთულდება და ახლებურ მიდგომას მოითხოვს. ძველ, კარგად ათვისებულ რაიონებში ნედლეულისა და სათბობის მარაგი მცირდება, მათმა მოპოვებამ აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ — ნაკლებად დასახლებული და ძნელად მისადგომი რაიონებისაკენ გადაინაცვლა, ამიტომ საზოგადოებას ნედლეულის მოპოვება სულ უფრო ძვირად უჯდება.

ბოლო ათი წლის განძილზე ნავთობის მოპოვებისა და ტრანსპორტირების ხარჯები 46 პროცენტით გაიზარდა, გაზისა — 2-ჯერ, რკინის მადნისა — 36 პროცენტით, ხე-ტყის დამზადებისა — 32 პროცენტით. ეკონომიკის შემდგომი განვითარება . ბევრად არის დამოკიდებული ნედლეულის რესურსების ეფექტიან და რაციონალურ გამოყენებაზე.

დაგეგმვის სტრატეგიული კურსია ისეთი საგეგმო მაჩვენებლების შემუშავება, რომლებიც გამორიცხავს საწარმოთა დაინტერესებას მასალატევადი პროდუქციის გამოშვებით.

მკვეთრად იზღუდება წარმოებაში დამატებითი მუშახელის ჩაბმის შესაძლებლობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ იქლო მომუშავეთა აბსოლუტური სიდიდის მატებამ. 1971-1975 წლებში 1961-1965 წლებთან შედარებით მომუშავეთა რაოდენობის მატება მთელ საზოგადოებრივ წარმოებაში შემცირდა 1 მილიონ კაცამდე, ხოლო მრეწველობაში — 2,6 მილიონამდე. ეს ტენდენცია განსაკუთრებით იჩენს თავს 80-იან წლებში.

მაშასადამე, დაგეგმვის ძირითადი ამოცანაა დირექტიული ხასიათი მიანიჭოს გეგმის იმ მაჩვენებლებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომუშავეთა რაოდენობის სტაბილურობას და მატერიალურად დაინტერესებს წარმოებას მუშახელის შემცირებით.

თანამედროვე ეკონომიკის ექსტენსიური ზრდა მცირდება კაპიტალური დაბანდების შეზღუდვითაც. კერძოდ, დაგროვების ნორმის (ეროვნულ შემოსავალში დაგროვების ფონდის ხვედრითი წილის) სტაბილიზაცია და ერთგვარი შემცირება ობიექტური კანონზომიერებაა. ამასთან დაგროვების ფონდში სულ უფრო მატულობს არასაწარმოო დაგროვების ხვედრითი წილი, ე. ი. დაგროვების ფონდის ის ნაწილი, რომელიც ხმარდება საბინაო მშენებლობას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას, სულ უფრო მეტი სახსრები იხარჯება ბუნების დაცვისათვის.

დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმების სრულყოფამ უნდა უზრუნველყოს კაპიტალური დაბანდების ერთ მანეთზე სულ უფრო მეტი საბოლოო შედეგების მიღება.

წარმოების შედეგს აქვს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მხარე. საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე დამოკიდებულია არა მარტო შექმნილი სახმარი ღირებულების მასაზე, არამედ მის ხარისხზეც. შექმნილი მატერიალური დოვლათის ხარისხობრივი მაჩვენებლები გადამწყვეტ როლს ასრულებს წარმოება-მოთხოვნის სისტემაში, რადგან წარმოების რაოდენობრივი საკითხი ძირითადად უკვე გადაწყვეტილია.

სსრ კავშირში ტყავის ფეხსაცმლის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 2,8, ამერიკის შეერთებულ შტატებში—2,3 წყვილს, ბამბის ქსოვილი შესაბამისად — 26 და 23 კვადრატულ მეტრს, შალის ქსოვილი — 3 და 0,7 კვადრატულ მეტრს. სსრ კავშირის მრეწველობაში 1965-1976 წლებში მაცივრების წარმოება გაიზარდა თითქმის 4-ჯერ და მიაღწია 6 მილიონ ცალს. ყოველი 100 მაცივრიდან საშუალოდ იყიდება მხოლოდ 77. მიუხედავად ამისა მაცივრების წარმოება მაინც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაცივრის ყიდვის მსურველთა 70 პროცენტი ყიდვისაგან თავს იკავებს საჭირო მარკისა და ტევადობის მაცივრების უქონლობის გამო. წარმოებისა და მოთხოვნის შეუსაბამობით კი იზრდება სასაქონლო მარაგი, რაც ძვირად უჯდება საზოგადოების ყოველ წევრს.

დაგეგმვის სრულყოფის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია საწარმოთა მატერიალური დაინტერესება პროდუქციის ხარისხის ამაღლებით.

საგეგმო მაჩვენებლების დადგენისას აუცილებელია აერთიანოთ დროის ფაქტორის ყოვლისმხრივ გათვალისწინება. მხედველობაში იქნება მიღებული გაფართოებული კვლავწარმოების როგორც ღირებულებითი, ისე დროითი ასპექტი.

ამრიგად, დაგეგმვის სრულყოფა და სამეურნეო მექანიზმების ზემოქმედების გაძლიერება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე შიდეგ ძირითად მომენტებს მოიცავს:

გაერთიანების (საწარმოთა) სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვა ხდება არა საერთო მოცულობითი მაჩვენებლებით (მთლიანი პროდუქცია, სასაქონლო პროდუქცია, სარეალიზაციო პროდუქცია), არამედ მისი საბოლოო შედეგებით — ნორმატიული წმინდა პროდუქციით.

როგორც მთლიანი, ისე სასაქონლო და სარეალიზაციო პროდუქციის ღირებულებაში შედის დანახარჯები მატერიალურ რესურსებზე. ამიტომ საწარმოები ორიენტაციას იღებენ მასალატევადი პროდუქციის წარმოებაზე. იქმნება პარადოქსული სიტუაცია: რაც უფრო ძვირია ნედლეული და მასალები, რაც უფრო მაღალია მათი ხარჯვის ნორმა პროდუქციის ერთეულზე, მით უფრო ხელსაყრელი სიტუაცია იქმნება პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებისათვის.

ნორმატიული წმინდა პროდუქცია გაერთიანებათა (საწარმოების) სამ

ДАХილДოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სამხრეთ ოსეთის სომეხი ერისა და ეკიკვის სახელმწიფო თეატრის „სომდის“ მე-40 წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალი სიგელით დაჯილდოვდნენ ანსამბლის წევრები:

ალბოროვი გენიერ გერასიმეს ძე — მოეკიკვალეთა ჯგუფის სოლისტი, **ალბოროვი** ინალ სოკრატეს ძე — გუნდის სოლისტი, **არსოევი** ალადამერ არსენის ძე — მოეკიკვალეთა ჯგუფის სოლისტი, **ვალიევი** ალექსანდრე ქრისტეფორეს ძე — საორკესტრო ჯგუფის სოლისტი, **ვაზაევი** ზაურ პეტრეს ძე — მოეკიკვალეთა ჯგუფის სოლისტი, **კანბოსოვი** ასლანბეგ გრიგოლის ძე — მოეკიკვალეთა ჯგუფის ოფილი სოლისტი, **კოჩიევი** შოთა ალადამერის ძე — საორკესტრო ჯგუფის სოლისტი, **ჯიოევი** ოთარ ბერგის ძე — გუნდის სოლისტი.

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სამხრეთ ოსეთის სომეხი ერისა და ეკიკვის სახელმწიფო თეატრის „სომდის“ მე-40 წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიენიჭათ საქართველოს სსრ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

ალბოროვს ფილიქს შალვას ძეს — კომპოზიტორს, ანსამბლის ოფილ სამხატვრო ხელმძღვანელს, **ბიტიევს** პაველ ბორისის ძეს — ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა

გალავანოვს ვლადიმერ ილიას ძეს — ანსამბლის მოეკიკვალეთა ჯგუფის სოლისტს, **ბუგუტოშვილს** ოდეა გიორგის ასულს — ანსამბლის მოეკიკვალეთა ჯგუფის სოლისტს, **თედეევას** თამარ ალექსანდრეს ასულს — ანსამბლის ორკესტრის სოლისტს, **კაზიევს** გივი ბორგის ძეს — ანსამბლის აკომპანიატორს, **კოტაევას** ზამირა გიორგის ასულს — ანსამბლის მოეკიკვალეთა ჯგუფის სოლისტს, **ლაფიევას** აზა ზაურბეგის ასულს — ანსამბლის მოეკიკვალეთა ჯგუფის სოლისტს, **სანკოევს** ხაზბი გიორგის ძეს — ანსამბლის გუნდის სოლისტს, **ტეხოვს** პეტრე ფიროს ძეს — ანსამბლის მოეკიკვალეთა ჯგუფის სოლისტს, **შავლოვს** მელს მუხტარის ძეს — ანსამბლის ოფილ სოლისტსა და ფლმძღვანელს, **ხეთაგუროვს** ალბერტ იაკობის ძეს — ანსამბლის გუნდის სოლისტს, **ხუგაევს** ევგენია ალიხანის ასულს — ანსამბლის მოეკიკვალეთა ჯგუფის სოლისტს, **ჯიოევს** ნიკოლოზ გრიგოლის ძეს — ანსამბლის მოეკიკვალეთა ჯგუფის სოლისტს.

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ ნამუშევარი მიღება 1980 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად მთავრდება ა. წ. 15 დეკემბერს.

კომიტეტი იღებს ნამუშევრებს, რომლებიც გამოქვეყნდა (აიგო) არაუგვიანეს ა. წ. 15 ივნისისა. მოსაპოვებლად წარდგენილი სამეცნიერო ნამუშევრები გამოქვეყნებული უნდა იყოს არაუგვიანეს 1978 წლის 15 დეკემბრისა.

პრემიების მოსაპოვებლად ნამუშევართა წარდგენასა და გაფორმებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართეთ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს მისამართით: 101414, მოსკოვი, ნეგლინნაიას ქუჩა № 15. ტელეფონები — 223-44-67, 223-19-30, 295-63-25.

ინსტიტუტის ნახევარი საუკუნის იუბილე

შესრულდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის 50 წელი. ინსტიტუტი სამეცნიერაციო პროფილის იმ პირველ სამეცნიერო დაწესებულებათაგანია, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე. საქართველოში მიწების მელიორაციის განვითარებას დასაბამი მისცა ვ. ი. ლენინის ისტორიულმა წერილმა აზერბაიჯანს, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტების ადმი: „მორწყვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა აკამაღლოთ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა რადაც უნდა დაჯდეს. ერთბაშად იკადეთ გაბედული ბრძოლა ადგილთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტრიფიკაციის მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აიორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

ინსტიტუტმა დიდი გზა განვლო. იგი არსებით გალენას ახდენდა მელიორაციის მეცნიერების განვითარებასა და წყალთა მეურნეობის ორგანიზაციაზე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. (პირველ საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მსოფლიო პრაქტიკაში პირველად შემუშავდა ჰიდროსამელიორაციო ნაგებობათა და სისტემათა საიმედოობის თეორია, რომლის გამოყენება უზრუნველყოფს ჰიდრომელიორაციის ობიექტების ხანგამძლეობას. ამავე თანრიგს განკუთვნება ფერდობებისა და ირიგაციისმიერი ეროზიის საინჟინრო პროგნოზისა და გაანგარიშების და მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესამუშავებლად გაწეული გამოკვლევები, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მთის რეგიონების ნიადაგური საფარის შენარჩუნებისათვის.

უკანასკნელ წლებში ინსტიტუტმა დიდ წარმატებას მიაღწია მთის მიწათმოქმედების პირობებში რწყვის ტექნიკის, ტექნოლოგიისა და რეჟიმის სრულყოფისა და კოლხეთის დაჭაობებული მიწების ამოშრობის ეფექტიანი მეთოდების შემუშავებაში.

დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ გრუნტების ტექნიკური მელიორაციის წესებსა და ჰიდროსამელიორაციო ნაგებობათა კოტეჯური დასაბუთებისა და ხარისხის კონტროლის მეთოდებს.

მელიორატორებს დიდ დახმარებას გაუწევენ ინსტიტუტის მიერ შექმნილი მანქანები და შრომატევად სამელიორაციო სამუშაოთა მექანიზაციის სხვა საშუალებანი.

ჰიდრავლიკურ და სამელიორაციო ექსპერიმენტულ გამოკვლევათა პრაქტიკაში პირველადაა გამოყენებული ლაზერული ტექნიკა და ჰოლოგრაფია.

რესპუბლიკაში თითქმის არ მოიპოვება მნიშვნელოვანი წყალსამეურნეო თუ სამელიორაციო ობიექტი, რომლის დაპროექტებაში, მშენებლობასა და ექსპლოატაციაში არ მონაწილეობდეს ინსტიტუტის კოლექტივი.

ამჟამად ინსტიტუტის საქმიანობის მიზანია გადაწყვიტოს ჰიდრომელიორაციის საერთო დარგობრივი და ზონალური საკითხები. მას ეკისრება სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მეთაური და მაკოორდინირებელი ინსტიტუტის ფუნქციები ეროზია-ღვარცოფის პრობლემისა და მთის მდინარეების აუზებში კალაპოტშიგა პროცესების, ჰიდროსამელიორაციო ნაგებობათა საიმედოობის დარგში.

ინსტიტუტი ნაყოფიერად თანამშრომლობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ სამეცნიერო-კვლევითს ორგანიზაციებთან.

თავის იუბილეს ინსტიტუტი შემოქმედებით ძალებით აღსავსე ეგებება. დღენიადაგ უმჯობესდება, მტკიცდება და ფართოვდება როგორც ინსტიტუტის, ისე მისი ფილიალების მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა, სადაც სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა 7 მეცნიერებათა დოქტორი და 45 კანდიდატი. ისინი ზრდიან ახალგაზრდა მაღალკვალიფიციურ მეცნიერ მუშაკებს.

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერები, მთელი კოლექტივი პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად კვლავაც აქტიურად იმუშავებენ, მთელ ალობასა და გამოცდილებას მოახმარენ ჰიდრომელიორაციის რთული სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაჭრასა და საბჭოთა ჰიდრომელიორაციის მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

ბუნების გარდამქმნელები

გვესაუბრება საქართველოს სსრ ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ც. მირცხულავა.

წლებში ინსტიტუტი ემსახურებოდა აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს).

გამოკვლეულია ალაზნის ველის, კოლხეთის, სამგორისა და მტკვარ-არაქსის დაბლობის ნიადაგური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. ამიერკავკასიაში პირველად განხორციელდა მუღანის ველის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილების მიწების გამორეცხვის ციდები, რაც გახდა სამელიორაციო ღონისძიების შეფასებისა და მისი ფართოდ დანერგვის ბაზა დამლაშებული მიწების ბალანსაღებისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის.

მინგეჩაურის ჰიდროკვანძის გამო ინსტიტუტის მიერ განხორციელებული გეოტექნიკური გამოკვლევები საფუძვლად დაედო ამ მეტად რთული ფულადსამეურნეო კომპლექსის პროექტს. ინსტიტუტმა შეადგინა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიწების მორწყვის ფყარიების კადასტრი.

შესრულებულია ალაზნის ველსა და მუღანის ველზე ხელოვნური დაწვიმების პირველი ცდები.

თავისი არსებობის პირველი წლებიდანვე ინსტიტუტი სერიოზულ ყურადღებას უთმობს ღვარცოფების შექმნას, მათი ბუნების შესწავლის საკითხებს, ბუნების ამ მრისხანე სტიქიური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებას.

დასახულია არხებისა და წყალსატევებისათვის ორიგინალური ფილტრსაწინააღმდეგო ღონისძიებანი (გრუნტების დარტყმით გამკვრივება, ხელოვნური მოთიხვა), შექმნილია მაღალმწარმოებელური შორეკავლიანი დასაწვიმებელი აპარატები, მთისა და მთისწინეთის მდინარეებისათვის საირიგაციო წყალსაღებ ნაგებობათა ახალი კონსტრუქციები.

სუსტშეღწევადი ძლიერ დამლაშებული ნიადაგების მელიორაციისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების მრავალი წლის ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა ინსტიტუტს საშუალება მისცა შედგომოდა მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპრის ფართო მასშტაბით გაჯანსაღებას.

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მსოფლიო პრაქტიკაში პირველად შემუშავდა ჰიდროსამელიორაციო ნაგებობათა და სისტემათა საიმედოობის თეორია, რომლის გამოყენება უზრუნველყოფს ჰიდრომელიორაციის ობიექტების ხანგამძლეობას. ამავე თანრიგს განკუთვნება ფერდობებისა და ირიგაციისმიერი ეროზიის საინჟინრო პროგნოზისა და გაანგარიშების და მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესამუშავებლად გაწეული გამოკვლევები, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მთის რეგიონების ნიადაგური საფარის შენარჩუნებისათვის.

უკანასკნელ წლებში ინსტიტუტმა დიდ წარმატებას მიაღწია მთის მიწათმოქმედების პირობებში რწყვის ტექნიკის, ტექნოლოგიისა და რეჟიმის სრულყოფისა და კოლხეთის დაჭაობებული მიწების ამოშრობის ეფექტიანი მეთოდების შემუშავებაში.

დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ გრუნტების ტექნიკური მელიორაციის წესებსა და ჰიდროსამელიორაციო ნაგებობათა კოტეჯური დასაბუთებისა და ხარისხის კონტროლის მეთოდებს.

მელიორატორებს დიდ დახმარებას გაუწევენ ინსტიტუტის მიერ შექმნილი მანქანები და შრომატევად სამელიორაციო სამუშაოთა მექანიზაციის სხვა საშუალებანი.

ჰიდრავლიკურ და სამელიორაციო ექსპერიმენტულ გამოკვლევათა პრაქტიკაში პირველადაა გამოყენებული ლაზერული ტექნიკა და ჰოლოგრაფია.

რესპუბლიკაში თითქმის არ მოიპოვება მნიშვნელოვანი წყალსამეურნეო თუ სამელიორაციო ობიექტი, რომლის დაპროექტებაში, მშენებლობასა და ექსპლოატაციაში არ მონაწილეობდეს ინსტიტუტის კოლექტივი.

ამჟამად ინსტიტუტის საქმიანობის მიზანია გადაწყვიტოს ჰიდრომელიორაციის საერთო დარგობრივი და ზონალური საკითხები. მას ეკისრება სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მეთაური და მაკოორდინირებელი ინსტიტუტის ფუნქციები ეროზია-ღვარცოფის პრობლემისა და მთის მდინარეების აუზებში კალაპოტშიგა პროცესების, ჰიდროსამელიორაციო ნაგებობათა საიმედოობის დარგში.

ინსტიტუტი ნაყოფიერად თანამშრომლობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ სამეცნიერო-კვლევითს ორგანიზაციებთან.

თავის იუბილეს ინსტიტუტი შემოქმედებით ძალებით აღსავსე ეგებება. დღენიადაგ უმჯობესდება, მტკიცდება და ფართოვდება როგორც ინსტიტუტის, ისე მისი ფილიალების მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა, სადაც სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა 7 მეცნიერებათა დოქტორი და 45 კანდიდატი. ისინი ზრდიან ახალგაზრდა მაღალკვალიფიციურ მეცნიერ მუშაკებს.

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერები, მთელი კოლექტივი პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად კვლავაც აქტიურად იმუშავებენ, მთელ ალობასა და გამოცდილებას მოახმარენ ჰიდრომელიორაციის რთული სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაჭრასა და საბჭოთა ჰიდრომელიორაციის მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲠᲣᲠᲒᲣᲚᲘ

მშვიდობის ძალთა ერთიანობის ნიშნით

ტუნისი, 15 ნოემბერი. ტუნისის დედაქალაქში დღეს მუშაობა დაიწყო არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციამ. მისი მონაწილენი — 20 არაბული სახელმწიფოსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლები განიხილავენ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას და შეიმუშავებენ არაბული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მეათე თათბირის დღის წესრიგს, რომელიც აქ რამდენიმე დღეში გაიხსნება.

არაბული ქვეყნების ლიგის გენერალურმა მდივანმა შ. კლიბიმ აღნიშნა, რომ „ეგვიპტისთან სეპარატული „ზავის“ დადების შემდეგ ისრაელის აგრესიული არსი კიდევ უფრო ნათლად ვლინდება. კერძოდ, ტელ-ავივი განზრახ აღვიკვეს შინაური წინააღმდეგობები ლიბანში, რათა მიაღწიოს ქვეყნის გათიშვას და ძირი გამოუთხაროს პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის პოზიციებს. საომარ მოქმედებას, რომელიც ჯერ კარძელდება სამხრეთ ლიბანში, შეიძლება უაღრესად სერიოზული შედეგები მოჰყვეს ყველა არაბისათვის, აღნიშნა მან.

შ. კლიბიმ არაბულ ქვეყნებს მოუწოდა ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი ლიბანის კანონიერ ხელისუფლებს, ხელი შეუწყონ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული გარიგება სასტიკად დაგმო არაბული ქვეყნების ლიგის გენერალურმა მდივანმა შედეგი-კლიბიმ. კონფერენციის გახსნის გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ამ ანტიარაბული შეთანხმების მიზანია ლაზარი ჩასვლის პალესტინის რევოლუციას და არაბული სამყაროს დაუკვმდებაროს იმპერიალისტურ და სიონისტურ ბატონობას.

შ. კლიბიმ დიდი კმაყოფილება გამოთქვა არაბული და სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთობის განვითარების გამო. ჩვენ, თქვა მან, დიდად ვფასებთ დახმარებას, რომელსაც სოციალისტური ქვეყნები პალესტინის არაბ ხალხს უწევენ, მათ მუდმივ სოლიდარობას.

ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ

ჯაზოი, 15 ნოემბერი. განაგრძობს რა მყვინარალა ანტიკომუნისტურ კამპანიას, პეკინი კვლავ უხეშად არღვევს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ჩინეთის არტილერია ნოემბრის პირველ დეკადაში ყოველდღე უშენდა ციცხლს ვიეტნამის ტერიტორიას ჰოანგლიენშონის, კუანგნინის, ლაობაგის, ლაიტიაუს და ჰატუენის პროვინციების რაიონში, ამასთან იყენებდა საარტილერიო ქვემეხებს, ნაღმსატყორცნებს, რაკეტულ დანადგარებს. ჩინეთის სპეციალური საბედღრო ქვეგანაყოფები რეიდებს აწყობენ ვიეტნამის ტერიტორიის სიღრმეში, თავს ესხმიან სასაზღვრო საგუშაგოებს, ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებლებს.

ᲣᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ანკარა, 15 ნოემბერი. კამპუჩიის საინფორმაციო საააგენტომ პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ტაილანდი სისტემატურად არღვევს კამპუჩიის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. საააგენტო იუწყება, რომ ტაილანდის სამხედრო თვითმფრინავები არაერთხელ შემოჭრნენ კამპუჩიის საჰაერო სივრცეში 20 კილომეტრამდე სიღრმეზე, ხოლო ტაილანდის არტილერიამ რამდენჯერმე დაუშინა ციცხლი კამპუჩიის ტერიტორიას. ბატამბანგის პროვინციაში საზღვრიდან 25 კილომეტრზე მდებარე სოფელ ჭხოვისათვის ერთ-ერთი ასეთი ციცხლის დაშენის დროს სოფლის ტერიტორიაზე 80 ყუმბარა აფეთქდა.

გამოძიება დამთავრდა

რომი, 15 ნოემბერი. იტალიაში დამთავრდა გამოძიება „მოროს საქმის“ — მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის მოტაცებისა და მკვლელობის გამო. როგორც გამოაცხადეს, რამდენიმე დღის შემდეგ გამოძიების დოკუმენტები გადაეცემა პროკურატურას.

ალდო მოროს მკვლელობა, რომელიც 1978 წლის გაზაფხულზე ჩაიდინა ეგრეთ წოდებული „წითელი ბრიგადების“ ტერროისტთა ბანდამ, უდიდესი პოლიტიკური დანაშაული იყო იტალიის მთელი ომისშემდგომი ისტორიის მანძილზე.

პოლიციამ შეძლო დაეპატიმრებინა „წითელი ბრიგადების“ ზოგიერთი წევრი, აღმოეჩინა იარაღის უდიდესი საწყობები, იტალიაში სტამბები. დაპატიმრებული არიან, კერძოდ, ვინმე ვ. მორეჩი და ა. ფარანდა. მათ ბინაში იპოვეს ავტომატი, რომლითაც, როგორც ექსპერტიზამ დადასტურა, მოკლულია ა. მორო.

მაგრამ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებს ჯერჯერობით არ ძალუძთ გაიუკუნებლონ ტერროისტული ორგანიზაციები.

ᲘᲠᲐᲜ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

თეირანი, 15 ნოემბერი. აქ გაიმართა ირანის ისლამური რევოლუციური საბჭოს სპეციალური სხდომა. როგორც საბჭოს წევრმა ჰაშემი-რაფსანჯანმ ფარსის სააგენტოს განუცხადა, სხდომაზე განიხილეს საგარეო პოლიტიკის საკითხები, კერძოდ შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დახუროს ირანის საჰაერო სივრცე ამერიკის თვითმფრინავებისათვის და აუკრძალოს ამერიკის გემებს ირანის ტერიტორიულ წყლებში შემოსვლა.

დღეს ირანმა გადაწყვიტა ამოიღოს მისი კუთვნილი 12 მილიარდი დოლარი ამერიკის ბანკებიდან და მისი ფილიალებიდან ევროპაში და ეს ანაბრები გადაიტანოს იმ ქვეყნების ბანკებში, რომლებსაც მეგობრული ურთიერთობა აქვთ ირანთან.

ვაშინგტონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა გადადო დღეისათვის დანიშნული მოგზაურობა პენსილვანიის შტატში, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს, როგორც თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, „გულდადმით აღევნოს თვალი ვითარებას ირანში“.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა დღეს გამოაცხადა, რომ ჯ. კარტერმა განკარგულება გასცა ირანის მთელი იმ ოფიციალური ავუარების ბლოკირების შესახებ, რომლებიც ინახება ამერიკის ბანკებში და ყველა მათ განყოფილებაში საზღვარგარეთ. ეს განკარგულება, ხაზგასმით აღნიშნა თეთრი სახლის წარმომადგენელმა, არ ვრცელდება ცალკეულ ირანელ მოქალაქეთა პირად ანგარიშებზე. თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსულმა ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა უ. მილერმა კონკრეტულად აღნიშნა, რომ ეს ღონისძიებანი არ ეხება შაჰის ანაბრებსა და მის საოჯახო ფონდს, რაც როგორც ცნობილია, მილიარდობით დოლარს შეადგენს.

როგორც ამერიკის საინფორმაციო საააგენტოები იუწყებიან, ირანის გადაწყვეტილებამ — ამოიღოს 12 მილიარდი დოლარი ამერიკის ბანკებიდან, პანიკა გამოიწვია საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე. ლონდონის, ბრიუსელის, მაინის ფრანკფურტის ბირჟებზე მაშინვე დაიწყო ამერიკის დოლარის გაუფასურება. „თეირანიდან მიღებულმა ახალმა ამბებმა, უწინარეს ყოვლისა, დოლარზე მოახდინა გავლენა“, — განაცხადა ლონდონში ინგლისის ბანკის „ბერკლეის ბენკის“ წარმომადგენელმა.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ — Ჯ. ᲙᲐᲠᲢᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ვაშინგტონი, 15 ნოემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა თეთრ სახლში გამართა პრესკონფერენცია, რომელიც ამერიკაირანის ურთიერთობას მიეძღვნა.

„ჩვენ, — თქვა პრეზიდენტმა, — კვლავ საქმე გვაქვს სერიოზულ სიტუაციასთან ირანში, სადაც ჩვენი საელჩო დაიკავეს და 60-ზე მეტი ამერიკელი მოქალაქე მძევლებად ჰყავთ, რათა აიძულონ ჩვენი ქვეყანა მიიღოს მიუღებელი მოთხოვნები“. „ჩვენ, განაგრძო ჯ. კარტერმა, გამოვიყენებთ ჩვენს განკარგულებაში არსებულ ყველა არხს“, რათა მივაღწიოთ მძევლების განთავისუფლებას.

ჯ. კარტერმა განაცხადა: „მეტი თავშეკავება გვმართებს, რადგან სიტუაცია უაღრესად სერიოზულია. არ უნდა მივცეთ ნება, რათა ტერორიზმი, მძევლების ხელში ჩაგდება და დაკავება გამოიყენონ იმისათვის, რომ თავს მოგვახვიონ პოლიტიკური მოთხოვნები“. „ყველამ ჯეროვნად უნდა შეაფასოს ამერიკის მთავრობის სიმტკიცე,—დასძინა მან. — საჭიროა გამოირიცხოს იმის რაიმე ვარაუდი, რომ ეკონომიკურ ზეგავლენას შეუძლია შეასუსტოს ჩვენი პოზიცია. მე გავეცი განკარგულება შეწყვიტონ ნავთობის შესყიდვა ირანისაგან, რომელიც განკუთვნილია შეერთებულ შტატებში მიწოდებისათვის“.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲐᲜ�გᲝᲚᲘᲡ სახალხო რესპუბლიკამ, რომელსაც სათავეში უდგას მპლა — შრომის პარტია, განვითარების სოციალისტური გზა აირჩია და მტკიცედ მიჰყვება პარტიის მიერ დასახულ გეზს. ანგოლელ ხალხს, რომელმაც გმირული ბრძოლით მოიშორა კოლონიალიზმის უღელი, გადაწყვეტილი აქვს, რაც შეიძლება მალე მოსპოს კოლონიური ბატონობის ნაშთები. სახელმწიფო შეუდგა ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებას. წამყვანი დარგების ეკონომიკისადმი დაწესდა სახელმწიფო კონტროლი. ნაციონალიზებულია ბანკები, ტრანსპორტი, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები, თევზსაჭერი კომპანიები, ყავის პლანტაციები.

ახალი ანგოლის აშენებაში ხალხს დიდ დახმარებას უწევენ სსრ კავშირი, კუბა და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

სურათზე: ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი ლუანდა.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა სერიოზულ და რეალურ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას გამალებული შეიარაღება. ამ საფრთხეს განსაკუთრებით გლობალური ფორმები ენიჭება, როდესაც საქმე ბირთვულ შეიარაღებას ეხება. ამიტომ არის, რომ საერთაშორისო წრეებში ესოდენ პოპულარული ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება და რომ ასე მტკივნეულად განიცდის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა ამა თუ იმ სახელმწიფოს უარს — შეიუერთდეს ხელშეკრულებას. მდგომარეობა კიდევ უფრო დრამატული ხასიათისა ხდება, როდესაც ბირთვული იარაღით აღჭურვას ესწრაფვის პოტენციურად აგრესორი სახელმწიფო, ხოლო თუ ასეთი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ბირთვული ამბიციები რეალობად იქცევა, ამას უკვე საყოველთაო შეშფოთება და პროტესტი მოსდევს.

სწორედ ასეთი სიტუაცია შეიქმნა, როდესაც მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის ორგანოებმა გვაცნეს, რომ კალაჰარის უდაბნოში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ მოაწყო საცდელი ბირთვული აფეთქება. აქედან საკუთარი ბირთვული ბომბის შექმნამდე კი ერთი ნაბიჯია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საგანგაშო ფაქტი მოულოდნელი არ იყო — ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საააგენტომ მსოფლიოს აუწყა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობას ფაქტობრივად ყველაფერი მზად ჰქონდა საცდელი აფეთქებისათვის. მაშინ დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა სპეციალური მემორანდუმებით მმართეს პრეტორიას. როგორც ლონდონის „ტაიმსი“ წერდა, „განსაკუთრებით ბომბა და პარაზმა გამოიდეს თავი იმის შიშით, რომ მათ თანამონაწილეობა დაჰბრალდებოდათ“. საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შიში არცთუ ისე უსაფუძვლო იყო; ნამბიის საკითხში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურმა კომისარმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა შონ მაკბრაიდმა ლაგოსში გამართული აპარტეიდის წინააღმდეგ მოქმედების მსოფლიო კონფერენციის ტრიბუნიდან პრეტორიის ბირთვული პოტენციალის შექმნაში პირდაპირ დადანაშაულა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. უფრო ადრე კი, 1975 წელს, ლონდონში გაიმართა სპეციალური სემინარი, რომელიც ბირთვული შეიარაღების საფრთხეში პრეტორიისა და წამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრობლემას მიეძღვნა. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტებიც, რომლებიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ, ჯერ ერთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას უკვე აქვს საკუთარი ბირთვული იარაღის შექმნისათვის საჭირო პლუტონიუმი და გამდიდრებული ურანი და, რაც მთავარია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ვეტერმა გადადო დღეისათვის დანიშნული მოგზაურობა პენსილვანიის შტატში, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს, როგორც თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, „გულდადმით აღევნოს თვალი ვითარებას ირანში“.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა დღეს გამოაცხადა, რომ ჯ. კარტერმა განკარგულება გასცა ირანის მთელი იმ ოფიციალური ავუარების ბლოკირების შესახებ, რომლებიც ინახება ამერიკის ბანკებში და ყველა მათ განყოფილებაში საზღვარგარეთ. ეს განკარგულება, ხაზგასმით აღნიშნა თეთრი სახლის წარმომადგენელმა, არ ვრცელდება ცალკეულ ირანელ მოქალაქეთა პირად ანგარიშებზე. თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსულმა ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა უ. მილერმა კონკრეტულად აღნიშნა, რომ ეს ღონისძიებანი არ ეხება შაჰის ანაბრებსა და მის საოჯახო ფონდს, რაც როგორც ცნობილია, მილიარდობით დოლარს შეადგენს.

როგორც ამერიკის საინფორმაციო საააგენტოები იუწყებიან, ირანის გადაწყვეტილებამ — ამოიღოს 12 მილიარდი დოლარი ამერიკის ბანკებიდან, პანიკა გამოიწვია საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე. ლონდონის, ბრიუსელის, მაინის ფრანკფურტის ბირჟებზე მაშინვე დაიწყო ამერიკის დოლარის გაუფასურება. „თეირანიდან მიღებულმა ახალმა ამბებმა, უწინარეს ყოვლისა, დოლარზე მოახდინა გავლენა“, — განაცხადა ლონდონში ინგლისის ბანკის „ბერკლეის ბენკის“ წარმომადგენელმა.

რასისტთა ბირთვული ამბიციები

ტინის ჯგუფის მეტალების — 95, ოქროს — 70, მანგანუმის მადნის — 73, ურანის — 30, აზბესტის — 14, ალმასების

17 ნოემბერი სტუდენტთა საერთაშორისო დღეა

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ქართველ სტუდენტებთან ერთად ბევრი უცხოელი სტუდენტი იუფლება სხვადასხვა სპეციალობას.

ეს სურათი გადაღებულია სტუდენტთა საერთაშორისო დღის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მასზე აღბეჭდილი არიან ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ლ. ხორბალაძე, ნ. გოძიაშვილი, ლ. თვალთვაძე, ნ. ჩიტაური უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტებთან ნიფად რაშიდთან, ელსარ ალი მოჰამედთან (იემენი) და ცალისე დინესთან (ნეპალი) ერთად.

ს. კილაძის ფოტო.

ჟიათურა: წარსული და მომავალი

ქალაქი 2.000 წელს

ვის არ ხიბლავს ყვირილის ხეობის მთების ფერდობებზე ტერასებად შეფენილი ქალაქ ჟიათურის ხილვა. წითელი კრამიტით გადახურული სახლები ლამაზად შერწყმია მწვანე გორაკებსა და შავ კლდეებს. ქართული მანგანუმის ცენტრი — ჟიათურა დღეს განვითარებული მრეწველობის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებითა და არქიტექტურული ნაგებობებით დამშვენებული თანამედროვე ინდუსტრიული ქალაქია.

მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარებასთან ერთად ქალაქი სულ უფრო შლის ფრთებს. როგორი იქნება ჟიათურა 2000 წელს, როცა მისი მოსახლეობა კიდევ უფრო გაიზრდება? ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის პროექტი დაამუშავეს საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენსაბპროექტის“ მესამე არქიტექტურულ სახელოსნოში. პროექტის ავტორები არიან ვ. გოგიჩაშვილი, ა. სიჭინავა, ვ. ცუხიშვილი, ინჟინერ-ეკონომისტი ნ. ახალკაცაშვილი.

სახმშენის სამეცნიერო-ტექნიკურმა საბჭომ მოიწონა ჟიათურის განვითარების გენერალური გეგმის პროექტი და მას მაღალი შეფასება მისცა.

როგორც პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა ა. სიჭინავამ გვითხრა, ქალაქის გენერალური გეგმის არქიტექტურულ-დაგეგმარებითი გადაწყვეტები ითვალისწინებს ჟიათურის ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების მოწესრიგებას და მის შემდგომ სრულყოფას თანამედროვე ქალაქის დაგეგმარების მოთხოვნათა დონეზე.

გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქს შენარჩუნებული ექნება ოდითგანვე შექმნილ ლანდშაფტთან შეხამებული არქიტექტურული სახე. მშენებლობისთვის გამოიყენებენ ტრადიციულ საშენ მასალებს: აგურს, ბუნებრივ ქვას, ხეს, რაც საცხოვრებელ სახლებს ეროვნულ იერს შეუნარჩუნებს.

ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა გათვალისწინებულია ქალაქის არსებულ უბნებში, ამორტიზებული სახლებისაგან გამოთავისუფლებულ ნაკვეთებზე და რიულ რელიეფზე, რითაც მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული არსებული საცხოვრებელი ფონდი და ვარგისი ტერიტორიები. რელიეფის რაციონალურად ათვისების მიზნით მომავალში ფართოდ დაინერგება ტერასული ბინათმშენებლობა.

სამრეწველო საწარმოო უბნები საჩხერის მიმართულებით განვითარდება, ქალაქი კი მის საწინააღმდეგო მხარეს გაშენდება. ჟიათურის მიმდებარე ტერიტორიაზე, წინასწოლში ახალი მიკრორაიონი აშენდება 8000 მცხოვრებისათვის, ეს მიკრორაიონი თავისი 9-14-სართულიანი სახლებითა და თანამედროვე მომსახურების ქსელით ორგანულად შეერწყმება ქალაქის განაშენიანებას.

გენერალურ გეგმაში სათანადო ყურადღება დაეთმო ქალაქისა და მისი შემოგარენის ბუნებისა და გარემოს დაცვის საკითხს.

ამჟამად მდინარე ყვირილის გასუფთავების მიზნით მრავალი ღონისძიება ხორციელდება. უახლოეს ხანში ამოქმედდება გასუფთავების სპეციალური სისტემა, რომლის დახმარებითაც ყვირილის გაუუჭუყიანების პრობლემა მაქსიმალურად გადაიჭრება.

ქალაქი დღეს ძალზე ღარიბია საზოგადოებრივი დანიშნულების მწვანე ნარგავებით. გენერალური გეგმა ითვალისწინებს ახალი მწვანე მასივების შექმნას. 28 ჰექტარზე გაშენდება დასასვენებელი ზონები, აგრეთვე გატყეედება მდინარე ყვირილის ხეობის ხრიოკი ფერდობები, რითაც ქალაქის მიკროკლიმატი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

ქალაქის შემოგარენში არსებულ მწვანე მასივებში მოეწყობა მეშახტეთა დასვენების ზონები, პიონერთა ბანაკები.

ჟიათურის რთული რელიეფის გამო, დიდი ყურადღება ექცევა ტრანსპორტის განვითარებას. სატიტარიული და უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესების მიზნით გენერალური გეგმა ითვალისწინებს არსებული სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებას.

კვლავაც განვითარდება საჰაერო-სამგზავრო გზების სისტემა, რომელიც უმოკლესი და მოხერხებული გზით ქალაქის დასახლებულ უბნებს აკავშირებს ერთმანეთთან.

გეგმა ითვალისწინებს ქალაქის საინჟინრო აღჭურვას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. არსებული წყალსადენის რეკონსტრუქციისა და ახალი წყაროების ათვისების შედეგად მოსახლეობა და საწარმოები დაკმაყოფილებული იქნებიან სასმელი და სამეურნეო წყლით. დამთავრდება ქალაქის კანალიზაციის ტექნიკური სამუშაო პროექტი, ქალაქის ზრდის ტემპის კვალობაზე სათანადოდ იქნება რეკონსტრუირებული ელექტროენერგეთიკა და ბუნებრივი გაზით მომარაგების სისტემა.

მოსკოვის ქუჩაზე გეგმარდება საცხოვრებელი უბანი — აშენდება ცხრასართულიანი სახლები 2000 მცხოვრებისათვის და მრავალსართულიანი განაშენიანება ტოლოთის ქუჩაზე. უახლოეს ხანში ქალაქის ცენტრში დამთავრდება საცხოვრებელი მიკრორაიონის შექმნა.

სახეს იცვლის ქალაქის ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი ცენტრი. დაპროექტებულია და მალე დაიწყება დახურული სპორტული კომპლექსის მშენებლობა 1200 მაყურებლისათვის, აშენდება შრომის დიდების მუზეუმი, 170-ადგილიანი სასტუმრო, ნინოშვილის ქუჩაზე შეიქმნება საავტერო-საზოგადოებრივი ცენტრი. აპროექტებენ ავტოსადგურს და სხვა საზოგადოებრივ ნაგებობებს.

ჟიათურის განვითარების გენერალური გეგმა ავტორებმა ქალაქის დაარსების მე-100 წლისთავს მიუძღვნეს.

ლ. ხუბულური.

მინის გულს შემოუნახავს





ზემო იმერეთში მთამადნიულის არსებობა, როგორც აკაკი წერეთელი წერდა, ჯერ კიდევ ბერძენმა მწერლებმა ჰეროდოტემ, თეოფრასტემ და სტრაბონმაც იცოდნენ, არისტოტელესაც აქვს ერთი ქნობა, რომელიც შესაძლოა მეტალურგიაში მანგანუმის გამოყენებას გულისხმობდეს.

ბერძენი მეცნიერი წერს: „განსაკუთრებულია ხალიბური და ამასური რკინის წარმოება... ეს რკინა ბევრად უკეთესია ყველა სხვაზე, მაგრამ იგი ერთ ღუმელში რომ არ დნებოდეს, არაფრით არ განსხვავდებოდა ვერცხლისაგან. მხოლოდ ეს — რკინაა უკანგავი, მაგრამ ბევრი არ მოიპოვება“.

სადღეისოდ ჟიათურის მიდამოებში და თვით ჟიათურის ტერიტორიაზე მიკვლეულია მრავალი არქეოლოგიური ძეგლი, რომელთა ფენები მეტალურგიული წარმოების მძლავრ კვალს ინახავენ. უფრო მეტიც, ქალაქიდან ერთი კილომეტრით დაშორებულ სოფელ ნაკარძეთში რკინის მადნის გამონამუშევარი მაღაროები და 2500 წლისწინანდელი ლითონის სადნობი ჭურის ფრაგმენტებიც არის აღმოჩენილი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულიდან მოყოლებული, ყვირილის ხეობა ფერადი და შავი მეტალურგიის უძლიერესი კერაა არა მარტო ამერკავკასიის, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგიური მასალების ფონზეც. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ჟიათურის ჩრდილოეთით მდებარე მაროვნად გამოიყენა. ანალოგიური სურათი გვაქვს ჟიათურის არქეოლოგიურ ძეგლზეც. აქ ორი ათასი წლის წინანდელ სამაროვნებში ასობით ნივთი აღმოჩნდა. ძეგლი ეკუთვნის იმ უძველესი ციხე-ქალაქების კატეგორიას, რომლებიც უკანასკნელ წლებში ექსპედიციამ ისტორიული არგვეთის ტერიტორიაზე გამოიკვლია. ესენია, სვერის, მოდინახეს, თოდაძის, ბეინეკის ციხეები და აღმოსავლეთ საქართველოში ალის ციხე.

ამ დასახლებების არქეოლოგიური შესწავლის შედეგად მიღებული სურათი ზემომოწმენით იმოხმობს ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის ბერძენი ავტორის ქსენოფონტეს მიერ ციხე-ქალაქების აღწერილობის სურათს.

საინტერესოდ გვეჩვენება არქეოლოგიური ძეგლის სახელი ჯიეთი. ჩვენში ბევრი ტოპონიმის ახსნა მხოლოდ ქართულის მონათესავე ენების მეოხებით არის შესაძლებელი და სავარაუდოდ გვსურს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ჯიეთი — ჰიეთი შესაძლებელია შინაარსობრივად დაკავშირებული იყოს ადიღეურ „ეიე“-სთან, რაც ორ კლდეს შორის მოქცეულ ადგილს ნიშნავს. ჯიეთის სწორედ ასეთი მდებარეობა უჭირავს. საგულისხმოა, რომ მომთხრნავე სოფლების მკვიდრნი ხშირად ჰიათურას ჰეთურას უწოდებენ. შესაძლოა, ტოპონიმის მონაცვლეობა მომხდარიყო მაშინ, როდესაც ჯიეთის უძველესი დასახლებიდან მოსახლეობა მიგრირებდა მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც დღეს ჭიათურა ჰქვია და ორ კლდეს შორის მოქცეული ადგილია. ეს ვარაუდია, ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჭიათურის ტერიტორიაზე ათასწლეულების მანძილზე შეინიშნება კულტურის განვითარების უწყვეტი კვალი და ვფიქრობთ, არქეოლოგიური ძეგლების მომავალი შესწავლა საშუალებას მოგვცემს ასი წლის წინათ დაარსებულ ქალაქს ძველი ისტორიაც წაუმძღვაროთ.

ჯ. ნადირაძე,
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ჭიათურის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

სურათებზე: ჯიეთის ნასახლარის ნივთები. მარცხნივ — საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების იარაღები; მარჯვნივ — ბრინჯაოს ბალთა.

ეროვნული გამოფენა

● ● დამაშვრალი

ბოლო დროს ფიქრები დაიმარტოხლებენ ხოლმე 75 წლის მხატვარს, აიმღვნიან, გონებაში ფუთფუთებენ და დაუკითხავად დაატარებენ ჩავლილი ცხოვრების შარა-გზაზე.

ბალღობა გაიელვებს წამისად, ულუკმაპურო, მაგრამ მაინც ტკბილად მოსაგონარი. ახლა ჯანიც ადარ მოსდევს, რომ სიღნაღიდან კახეთის სანახებს მიუალერსოს, ვაქირში სამუდამოდ დარჩენილ ბალღობასთან განმარტოვდეს უზრუნველად. ამ ადგილებმა ასწავლეს მშვენიერების ყადრი. აქ ეცნობოდა მეზობელი გლეხკაცობა მის პირველ ნამუშევრებს. რა იყო ეს. იქნებ გატაცება, ანდა საშუალება არსობის პურის მოსაპოვებლად? მოთხოვნილება იყო სულის შემძვრელი, ყველაფრის დამთმობი, რომელიც სამველს არ აძლევდა, რომ არ ეხატა.

თბილის-ქალაქშიც ამიტომ ჩამოვიდა, მეტი გასაქანი უნდოდა, მეტი შემართება და ძალთა ხმევა. დღეღამეს ასწორებდა. სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, თანაც სკოლებში ასწავლიდა ხატვას.

მერე, 1928 წელს პირველი კარიკატურაც დაუბეჭდეს ჟურნალ „ტარტაროზში“. ვინ იცის მერამდენედ კითხულობდა — „მხატვარი იოსებ ქოქიაშვილი“.

ჩემს წინ „ტარტაროზისა“ და „ნიანგის“ სათუთად აკინძული უკვე გაყვითნილული ეგზემპლარებია. აუ, რამდენი უხატია! ცხოვრების რომელ კუთხე-კუნჭულში არ შეუჭვრეტია მის მახვილ თვალს.

დაცოლშვილებულ კაცს თავი რომ ფონს გასული ეგონა — მაშინ

უსიტყვოდ...



გალვიძებული აფრიკა

— ი. ქოქიაშვილის ნახ.

ატყდა ომის საშინელება. იმხანად გაზეთ „კომუნისტში“ მუშაობდა მხატვრად.

დატოვა ყველაფერი, ფრონტზე გაზეთებს აფორმებდა. თან საქართველოშიც აგზავნიდა კარიკატურებს, მწარედ დასცინოდა უდღეური ფაშიზმის დამქაშებს. ისევ მოვიდა მშვიდობიანი ცხოვრება. ახლა დანგრეული, გაპარტახებული ქვეყნის აღდგენას ემსახურება იოსებ ქოქიაშვილის ყალამი. თავს დასტრიალებს „კომუნისტს“ — საყვარელ გაზეთს.

მრავალი წელი ემსახურა „კომუნისტს“, გაზეთის სილამაზესა და მხატვრულ გაფორმებას. ახლაც ზშირად იხსენებენ მის ნიშნა და კაცურკაცობას. და თუ შემოვლის ხოლმე ახალი ნამუშევრით ხელში თავისი ხალხისა და მამულის სიყვარულით მირონცხებული კაცი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი იოსებ ქოქიაშვილი, ეს მთელი კოლექტივის სიხარულია. აქ კარგად იციან, რომ მის ახალ კარიკატურასა თუ იუმორისტულ ჩანახატს კვლავაც ინტერესით ელის გაზეთის მკითხველი, რომლის მადლობა და სიყვარული ყველაზე დიდი ჯილდოა დამაშვრალი ხელოვანისათვის.

3. მარდალეიშვილი.

ჭადრაკი

ა. კარპოვი — უმლიერესი

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში დამთავრდა დიდოსტატ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც პირველობა მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონმა ა. კარპოვმა. ბოლო, მეთერთმეტე ტურში მან მოუგო მსოფლიოს ექსჩემპიონს ვ. სმისლოვს და საბოლოოდ 7,5 ქულა დაგროვა. ო. რომანიშინმა 7 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მან ბოლო ტურში სძლია ასევე მსოფლიოს ექს-ჩემპიონს — ბ. სპასკის.

ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: დ. საქმსა ყაიმით დაასრულა შეხვედრა ვ. ჰორტთან, ბ. ლარსენმა — რ. ჰიუბნერთან, ხოლო ლ. პორტაშმა დამარცხა ლ. კავალეკი. საბოლოოდ პორტაშმა მესამე ადგილი დაიკავა — 6,5 ქულა.

ხელგუბრთი

ფინალში იასპარეზობენ

ზვეციაში გრძელდება ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. ქვეჯგუფში მეორე შეხვედრა სსრ ავავრის ნაკრებმა გამართა დანიის ეროვნულ გუნდთან და გაიმარჯვა (18:14). მომდევნო მატჩი საბჭოთა ხელბურთელებმა მოუგეს ოეგოლსკელებს (27:17) და ფინალში გავიდნენ.

ფეხბურთი

კარგად ითამაშეს

„დინამო“ (თბილისი)-„დინამო“ (კიევი) — 1:0 (1:0)

თბილისი. 16 ნოემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.

„დინამო“ (თბილისი): გაბელია, ჯოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქვილიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, მინაშვილი, ჩელებაძე, შენგელია (კაკალაშვილი).

„დინამო“ (კიევი): რომენსკი, კონკოვი, ბესონოვი, ფურავლიოვი, დემიანენკო, ლოზინსკი, ბურიაკი, ხაპასლისი, კოლოტოვი, ვერემეევი (ბალტაჩა), სლობოდიანი (ბლოხინი).

გოლი გაიტანა ჩივაძემ (82-ე წუთზე).

დუბლიორები — 0:0.

მსაჯი: ე. აზიმ-ზადე (ბაქო).

თბილისელთა შემადგენლობაში სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ვიხილეთ გოცაძეი და ყიფიანი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გუნდს ტრავმის გამო მატჩის 24-ე წუთზე შენგელიაც გამოაკლდა, ჩემპიონობის მაძიებელი კიეველებთან თამაში მასპინძლებს ერთობ უნდა გასძნელებოდათ.

თბილისელმა დინამოელებ მ ა შესესტრებული შემადგენლობით არა თუ ტოლი არ დაუდეს ანგარიშებელს, უფრო მეტიც, მეფელი მატჩის განმავლობაში უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. მასპინძლებმა მართლაც რომ საოცარი მებრძოლური თვისებები გამოავლინეს და ერთგვარად დაგვიანებულ ნაბიჯებს რამდენიმე მატჩი, რომელებშიც, რბი ლ ა დ რომ ვთქვათ, თბილისელებს მეტი შემართება და თამაშში მეტი დამაჯერებლობა მართებდათ. მართალია, გუშინდელ შეხვედრაში მასპინძლებს მეტოქეთა კარის აღების არაერთი კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ის ერთადერთი ბურთიც, რომელიც ჩივაძემ თავიერ დარტყმით 32-ე წუთზე გაიტანა, საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვებისათვის. შეიძლება ერთი შეხედვით საკ აზრს ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ თბილისელებმა პირველი ტაიმისაგან განსხვავებით, ესე იგი, როცა მთა ბურთი გაიტანეს, მეორე ტაიმი უფრო ძლიერად, თამამად და მეზანსწრაფულად ჩაატარეს.

ჯ. ენუქიძე.

სხვა მატჩები

ბუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის 33-ე ტურის დანარჩენი მატჩებიც. კთავაზობთ შედეგებს:

„ყაირათი“ — „ლოკომოტ“. 2:2
„ფეხთაქ.“ — „დინამო“ (მ.) 1:2
„ზარია“ — „ტორპედო“ 4:2
„ჩერნომორ.“ — „სპარტაკი“ 1:1
„შახტიორი“ — „ცსკა 3:2
ასკ — „ზენიტი“ 1:0
„არარატი“ — „დინამო“ (მნ.) 4:1

„ნეფთჩისა“ და „ერილია სოვიტოვის“ შეხვედრა გადატანილია.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა ბოლო ტურის წინ				
		მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	20	10	3	63-23	48
„დინამო“ (ტ)	21	5	7	51-25	47
„შახტიორი	19	8	6	55-33	46
„დინამო“ (თბ)	18	12	3	51-26	44
„დინამო“ (მ)	17	9	7	40-24	42
„დინამო“ (მნ)	14	6	13	46-37	34
ცსკა	12	8	13	45-43	32
„არარატი“	12	12	9	43-31	32
„ზენიტი“	11	8	14	40-44	30
„ფეხთაქ.“	10	9	14	40-53	28
„ჩერნომორ.“	9	11	13	29-36	29
„ლოკომოტივი“	8	12	13	44-55	24
ასკ	8	14	11	35-47	24
„ტორპედო“	8	9	16	32-44	24
„ყაირათი“	7	9	17	28-44	22
„ნეფთჩი“	7	8	17	25-48	22
„ზარია“	6	10	17	40-61	20
„კრ. სოვეტოვი“	7	4	21	23-56	18

პირველ ლიგაში

ვილნიუსში გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჟალგირისი“ და პირველი ლიგის გუნდებს შორის გამარჯვებული ლვოვის „კარპატი“. ლვოველებმა ვილნიუსელები დამარცხეს (4:2) და საბოლოოდ 64 ქულა დაგროვეს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

□ 19 ნოემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები, 17.35 — შვილისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — დოკუმენტური ფილმი „ამლერებული ხე“ (ქართულ ენაზე) 18.35 — საგელევიზიო ნარკვევი „ეროვიკაცები“, 18.55 — „ვერნისაჟი“ (ფ.), 19.45— დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „ცვლა“, 18.35 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.05 — „კინონარკვევი, 19.15 — „ლეპუტატი და ცხოვრება“ — მაღალი გადასახედი, 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.10 — სარაკეტო ჯვარეზისა და არგელერიის დღე (მ.), 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — მუსიკალური შესვენება, 21.00 — „საბჭოთა კავშირის სახალხო არგისკი გიგა ლორთქიფანიძე (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ქალაქი ჰიროშიმა 100 წლისაა (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია (ფ.), 16.45 — განცხადებები, 16.50 —მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „ვეერა და თევდორე“, „ცა მიწაზე იწყება“ და „როგორ შეიძლება ციცაბო არ გიყვარდეს“, 18.15 — — ეფექტიანი კაცური ფილმები, 18.50 — ქართული მხატვრული ფილმი „მთვარის მოგცემა“ (პირველი სერია).

□ 20 ნოემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები, 17.35 — შვილისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — დოკუმენტური ფილმი „ამლერებული ხე“ (ქართულ ენაზე) 18.35 — საგელევიზიო ნარკვევი „ეროვიკაცები“, 18.55 — „ვერნისაჟი“ (ფ.), 19.45— დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — მუსიკალური გადაცემა „განუვლიდან სიხარულამდე“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „სპორტული მიმოხილვა“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — სტუდენტებისათვის—თეორიული მექანიკა (ფ.), 16.45 — განცხადებები, 16.50 — დოკუმენტური ფილმი „ლევ გოლსტოი — ჩვენი თანამედროვე“, 17.40 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 18.10 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯვების ყვავილები“, 18.50 — ქართული მხატვრული ფილმი „მთვარის მოგცემა“ (მეორე სერია).

□ 21 ნოემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები, 17.35 — შვილისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — კინოტერმი მოსწავლეთათვის, 18.40 — „ნათელი ხიხათა“ — სახალხო ზეიმი სოფელ ხიხათაერში (ტბელოვა). (ფ.), 19.00 — საერთაშორისო ამხანაგური მაგჩი ფეხბურთში: სსრკ (ნაკრები) — გფრ (ნაკრები), ტრანსლაცია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან, შესვენების დროს — „ლეგს მსოფლიო“ (მ.), 20.45 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.15 — „ეროვნული ანგარიში“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ი. აბაშიძის პოეზიის საღამო ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში, შესვენების დროს — „დღეს მსოფლიოში“ (მ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 16.45 — განცხადებები, 16.50 — „ქართული თეატრის წარსულიდან“ — ვალერიან გუნია, 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.50 — მოსწავლეთათვის — „ბ. ვეერა“ — „ბიბლიოთეკა“ — ქართული ენა, 18.20 — მხატვრული ფილმი — „დამშვიდობება პეგეტბურგთან“ (ფ.).

□ 23 ნოემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქიმია, 17.30 — განცხადებები, 17.35 — შვილისწავლოთ ფრანგული ენა, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.36 — ბუნების „კარი“ (ფ.), 19.20 — „კადრებთან მუშაობა — ახალ ამოცანათა დონეზე“ — ზუგდიდის რაიონი, 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — სავსებგრადო კონცერტი (ფ.), 21.00 — სპორტული „კალეიდოსკოპი“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ი. აბაშიძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 16.30 — განცხადებები, 16.35 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „გრიგორი კვიტკა-ოსნოვიანენკო“ და „ლიტერატურული შეხვედრ ე ბ ი“, 17.20 — „ჩემი ქვეყნის საეს ბგრადო მელოდიები (ფ.), 18.15 — მხატვრული ფილმი — „მზითვიანი ქოროწილი“.

□ 24 ნოემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — შვილისწავლოთ ქართული ენა, 10.30 — თქვენთვის მშობლებო! (მ.), 11.00 — ოდესის გელევიზიის პროგრამა, 12.40 — მუსიკალური შესვენება, 12.45 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 14.00 — „ბოის ბილეერები“ — (ხუუდიაში სამხრეთ ოსეთის პოეტების), 14.40 — „ქარიფელი მომღერლები“ — დღვინი ბალრიძე, 15.20 — კინონარკვევი, 15.30 — „ბენეი სოფელი“ — საგელევიზიო პროგრამა, 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო“ (თბილისი) — ცსკა. ტრანსლაცია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან, შესვენების დროს — მუსიკალური ფილმი, 20.55 — მუსიკალური შესვენება, 21.00 — „ბოის“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — აბაგდარი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მუსიკალური ფოსტა.

მეორე პროგრამით: 14.05 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“. მხატვრული ფილმი — „ბედნიერება საბელის ბოლოზე“ (ფ.), 15.20 — დოკუმენტური ფილმი — „[illegible] არ დაივიწყოს“, 16.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სულთან ციცაძე“, 16.35 — მუსტაფინელი, 17.00 — მხატვრული ფილმი „ბეჭედი“ (მეორე სერია).



17 ნოემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — შვილისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 10.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 11.00 — თქვენთვის მშობლებო (მ.), 11.30 — დოკუმენტური ფილმი „უსტო სელმაჯანი“ (ქართულ ენაზე), (ფ.), 11.50 — კინოჟურნალი, 12.00 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 12.30 — „ეროვნული ანგარიში“ (ფ.), 13.20 — „ბავშვთა ეროვნული ანსამბლი „ბაია“ (ბულგარეთი), 14.20 — ა. ონეგერი „სიმფონიური ნაწარმოებები“, 15.00 — „მეგობართა ხმები — გადმოსცემს სოციალისტური ქვეყნებიდან (მ.), 17.00 — „უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის — „ბიბლია თბილისის ქობრ“. რადიოდადგმა (ბაზილი მეორე), 18.00 — „უკანასკნელი ცნობები, 18.10 — მელოდიები, 18.20 — „ბანერი“, 19.00 — „ბავშვთა ეროვნული ანსამბლი „ბაია“ (ბულგარეთ), 19.15 — „ქართული ბალეტის სიმღერები, 19.30 — „უკანასკნელი ცნობები, 19.40 — „ჩვენი ლაპარაკი“ — რადიონარკვევი „ბელოვანი“, 20.30 — „თქვენთვის, ამხანაგო მეგრაკეებო და არტილერისტებო“ — კონცერტი (მ.), 21.15 — ბ. ბუხუბავილი — „მარადისობის ორი საათი“. რადიოდადგმა, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ლირიკული მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.



17 ნოემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ბეთო და კოტე** (23-ე ამონ. მე-5 წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **პეეერ**; მაჩაბელი-ბელის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **პრომეთეა** (პრეგიერა); ამბროსიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ოლეტბერ**; მარჯანიშვილის სახელმწიფო — **ლუბარსა მეფეძარეა**; ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — **ფენგჰოპეგროიკის** ფილარმონიის ეოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი — **ეოდოგრაფ**; კინოსერეგატორიის დიდი დარბაზი — **სიმეპანი ქეკრატების სალაგარ**; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ეკარალური სახელოსნო — **ეკრეს აბანუბეგეგ**.



19 ნოემბერი

პირველი პროგრამით: 06.10 — უკანასკნელი ცნობები, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.20— მელოდიიდან მელოდიამდე, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მ.), 11.10 — მოსწავლეთათვის. „ვიწყვეთ ვარჯიშს!“, 11.20 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა ქართულ ენაზე, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — საუბარი „[illegible]“, 12.10 — „ეკანასკნელი ცნობები, 12.15 — [illegible] ანსამბლის „გაია“, 12.25 — „პიონერია უპირველეს ყოვლისა“ — ფ. ხალვაშის ლექსები, 12.30 — ფ. შოსტაკოვიჩი — კონცერტი [illegible] ტრიანონ ფუტბისათვის, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — მუსიკა ქართული [illegible] ლმებიდან, 13.00 — დრო, შვილები, ადამიანები (მ.), 13.30 — „ბეთ